ოთხშაბათი 1919 წ. იანვრის 29 № 21
ყოველდღიური გაზეთი

ოთხშაბათი 1919 წ. იანვრის 29 № 21
ფასი თბილისში კოოპერაციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის ვინაობა** და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა** დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**კ ო ნ ტ ო რ ა**

**„საქართველოზე"** ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15--73**

**ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს" რედაქციის ფონდი.**

**დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.**

ღრმად დამწუხრებულნი: შვილები ლუკა ბრეგვაძე, თამარა ჯაფარიძე, ნინა კლიმიაშვილი, ბაბო ჩხაიძე, ძმა ეფრემ, დედა ეფემია, რძალი ბაბალე, სიძე კანიკო ჯაფარიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ, რომ 27 იანვარს გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

**იაკოფ გრიგორის ძე ბრეგვაძე**

პანაშვიდი გადახდილ იქნება ყოველ დღე სღამოს 6 საათზე თავის ბინაზე: პრიუტის ქუჩა, № 25. გამოსვენება ხუთშაბათს, 30 იანვარს 10 საათზე კოლუბანის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავე დღეს წმ. ნინოს კუკიის სასაფლაოზე.

(1—2053—1)

**ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი**

**„საქართველო"**

**1919 წ. წელიწადი მეხუთე 1919 წ.**

**გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.**

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5,) (ქართული ქარვასლა). ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო", ტელეფონი № 15—73.

**კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.**

## საქართველოს მამულიშვილნო!

**ახლოვდება არჩევნები**

**დამფუძნებელ კრების და თბილ. თვითმართველობისა.**

ყოველი ქართველი მამულიშვილი ვალდებულია მხურვალე და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

**ჩაეწერეთ სიებში, თუ გამოტოვებული ხართ.**

დაიცავით არჩევნებში თქვენი უფლებები.

დაიცავით თავისუფლება და კანონიერება.

**სახელმწიფო თეატრი**

დღეს, 29 იანვარს წარმოდგენილი იქნება

**მეორედ ქართულ ენაზე მეორედ**

ოპერა

**დ ე მ ო ნ ი**

მონაწილეობენ: ქ-ნნი: შულგინა, ხორინა; ბ-ნნი: სარაჯიშვილი, ინაშვილი, ისეცკი, დემიანენკო, კურბატოვი.

დადგმა ალ. წუწუნავასი.

3 იანვარს, გუნდის ბენეფისი „სნეგუროჩკა"; 1 თებერვალს შულგინას ბენეფისი „ბოლემა".

## ჩვენი კანდიდატები დამფუძნებელ კრებისთვის

# სია № 2

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა.**

1. ნიკოლაძე ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე, პარლამენტის წევრი, საქართველოს დელეგაციის წევრი საზავო კონფერენციაზე.
2. კედია სპირიდონ მალხაზის ძე, პარლამენტის წევრი, ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე.
3. ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე, პარლამენტის წევრი, გაზ. „საქართველოს" რედაქტორი.
4. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე, ნაფიცი ვექილი, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე.
5. თაყაიშვილი ექვთიმე სვიმონის ძე, პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
6. მაჭავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე, ნაფიცი ვექილი, პარლამენტის წევრი.
7. ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე, პარლამენტის წევრი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
8. სურგულაძე პეტრე როსტომის ძე, ჟურნალისტი.
9. ამირეჯიბი შალვა გრიგოლის ძე, პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი.
10. ივანიცკი რაფიელ (რ. ინგილო) ალექსანდრეს ძე, პარლამენტის წევრი, იურისტი.
11. ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე, პარლამენტის წევრი, ამიერ-კავკასიის ბანკის გამგე.
12. გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე, სამეურნეო ბანკის დირექტორი, ქალაქის ხმოსანი.
13. მარგველაშვილი ტიტე თადეოზის ძე, ფილოსოფიის დოქტორი, მთავარი საერობო ინსტრუქტორი.
14. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე, ქუთაისის ქალაქის ხმოსანი, პარტიის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე.
15. ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე, ნაფიცი ვექილი, საქართველოს დელეგაციის მრჩეველი.
16. წერეთელი ვასილი გიორგის ძე, პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი. ექიმი.
17. შევარდნაძე მიხეილ ირაკლის ძე, უფლების დოქტორი.
18. ჩიქოვანი ილია მანუჩარის ძე, ფინანსთა სამინისტროს საგანგებო რევიზორი.
19. ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე, ნავთის მრეწველი.
20. კეკელიძე კორნელი-დეკანოზი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
21. ხანანაშვილი იოსებ სოლომონის ძე, ჟურნალისტი, ქართველი ისრაელი.
22. წვერავა ნიკოლოზ ესტატეს ძე, თბილისის ხმოსანი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.
23. ჯაფარიძე ტრიფონ მიხეილის ძე, ქუთაისის ეპარქ. გიმნაზიის დირექტორი.
24. მიქელაძე ვლადიმერ სიმონის ძე, ფინანსისტი. საზოგადო მოღვაძე.
25. ჯაფარიძე ლევან (ლელი) სიმონის ძე, ლიტერატორი.
26. თავდგირიძე ნიკოლოზ ყარამანის ძე, სამუნიციპალო მოღვაწე.
27. საყვარელიძე ალექსანდრე სიმონის ძე, ნაფიცი ვექილი, ქუთაისის საურთიერთო ბანკის თავმჯდომარე.
28. ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე, მწერალი, საკათალიკოსო საბჭოს წევრი.
29. ოცხელი იოსებ ივანეს ძე, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი.
30. ყიფიანი ვასილ როსტომის ძე, სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე.
31. გორდეზიანი გიორგი პავლეს ძე, ნაფიცი ვექილი.
32. პურადიშვილი ივანე ისაკის ძე, აზოვ-დონის ბანკის ქუთაისის განყოფილების მმართველი.
33. კვირკველია დავით ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი, ქართულ იურიდიულ საზოგადოების თავმჯდომარე.
34. დადიანი იოსებ იულონის ძე, ინჟინერი, ნავთის მრეწველი.
25. ძიძიშვილი ნოე სიმონის ძე, იურისტი, კომერსანტი.
36. მამულაიშვილი ლევან ქაიხოსროს ძე, იურისტი, ნავთის მრეწველი.
37. თუმანიშვილი პავლე იოსების ძე, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი.
38. პაპავა ბარნაბ ამბაკოს ძე, ინჟენერი შავი ქვის მრეწველი.
39. მეუნარგია იონა მიხეილის ძე, მწერალი, ზუგდიდის მაზრის ერობის ხმოსანი.
40. სულუხია მოსე ივანეს ძე, გერმანულ-კავკასიური ბანკის დირექტორი.
41. საბახტარაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
42. ჯავახიშვილი (ადამიშვილი) მიხეილ საბას ძე, ჟურნალისტი.
43. ციცქიშვილი ვასილ მიხეილის ძე, მასწავლებელი.
44. ელიავა გრიგოლ ლავრენტის ძე, ექიმი, ბათომის ხმოსანი.
45. ქიტიაშვილი ზაქარია დიმიტრის ძე, ქიმიკოსი, გორის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების თავმჯდომარე.
46. ჟორდანია გიორგი თევდორეს ძე, ნაფიცი ვექილი.
47. დუმბაძე დიმიტრი მოსეს ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი, საქართველოს პრესბიუროს თავმჯდომარე.
48. ნასიძე ივანე აბრამის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
49. ბერელაშვილი ვასილ გერასიმეს ძე, მრეწველი, თბილისის საბჭოს ხმოსანი.
50. ედილაშვილი ზაქარია (ზ. ედილი) ერმოლოზის ძე, მწერალი.
51. მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძე, ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.
52. მაჭავარიანი გიორგი ლუარსაბის ძე, ნოტარიუსი.
53. ხუსკივაძე თეოფილე იესეს ძე, ნოტარიუსი, ბელეტრისტი.
54. გველესიანი იოსებ იოსების ძე, ვაჭარი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.
55. დადიანი ილია ილიას ძე, იურისტი, ზუგდიდის ქალაქის თავი.
56. ჯაიანი ბესარიონ ლევანის ძე, ბუღალტერი.
57. გუჯეჯიანი გიორგი სტეფანეს ძე, მასწავლებელი.
58. კალანდაძე დავით იაგორის ძე, პროვიზორი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.
59. ბარათაშვილი გრიგოლ საჩინოს ძე, ნაფიცი ვექილი.
60. ახვლედიანი ვარლამ სოლომონის ძე, პროვიზორი.
61. მგალობლიშვილი ვასილ გიორგის ძე, ამიერ-კავკასიის ბანკის რწმუნებული ბათუმში.
62. კლიმიაშვილი ზაქარია მიხეილის ძე, თელავის გიმნაზიის დირექტორი.
63. გვალია მიხეილ ოტიას ძე, ნოტარიუსი, ზესტაფონის ქალაქის თავის მოადგილე.
64. გრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე, კომერციის ინჟენერი.
65. გოგიტიძე გერმან იოსების ძე, ოზურგეთის ხმოსანი.
66. გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე, მრეწველი.
67. ჯავახიშვილი იასონ ვლადიმერის ძე, იურისტი.
68. ელიოზიშვილი კონსტანტინე მალხაზის ძე, ექიმი.
69. შალიბაშვილი გიორგი მიხეილის ძე, თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი.
70. ტატიშვილი შალვა გრიგოლის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
71. ყუფარიძე ბარნაბ სოლომონის ძე, ქუთაისის ვაჭ.-მრეწველთა კავშირის გამგეობ. თავმჯდომ. ამხანაგი.
72. კასრაძე დავით ილარიონის ძე, იურისტი.
73. უზნაძე პავლე ნიკოლოზის ძე, ქუთაისის საურთიერო ბანკის დირექტორი.
74. აბაშიძე გიორგი მინას ძე, პედაგოგი, მწერალი.
75. ხუნდაძე ლევან სილოვანის ძე, ჭიათურის ქალაქის გამგეობის წევრი.
76. გედევანიშვილი რევაზ ალექსანდრეს ძე, აგრონომი, სოფლის მეურნე.
77. ძებნიაური მიხეილ მათეს ძე, სოფლის მეურნე.
78. იშხნელი ზაქარია ნიკოლოზის ძე, პედაგოგი.
79. გვერწითელი გაბრიელ ივანეს ძე, ექიმი, გორის საერობო ხმოსანი.
80. მარუაშვილი მინა მალაქიას ძე, ექიმი.
81. ბებერიშვილი ამბროსი ბესარიონის ძე, გორის გიმნაზიის ინსპექტორი.
82. გამყრელიძე სამსონ იოთამის ძე, ახალსენაკის ქალაქის ხმოსანი.
83. ხერხეულიძე მიხეილ ზურაბის ძე, გაზეთ „ახალი ძალის" რედაქტორი.
84. ქდენტი ილარიონ მოსეს ძე, პედაგოგი.
85. კლიმიაშვილი ნესტორ მიხეილის ძე, ექიმი.
86. დალაქიშვილი ევგენი გიორგის ძე, მასწავლებელი მეურნე.
87. მგალობლიშვილი ვარლამ მიხეილის ძე, გორის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის საბჭოს წევრი.
88. ფხურგუნაშვილი რაჟდენ სოლომონის ძე, გორის ქალაქის ხმოსანი.
89. კაიშაური ნიკოლოზ ანდრიას ძე, კოოპერატორი.
90. ჩიბალაშვილი ივანე თევდორეს ძე, სოფლის მეურნე.
91. შამანაური მიხეილ შიოს ძე, სოფლის მეურნე.
92. დათიაშვილი ბესარიონ ბესარიონის ძე, სოფლის მეურნე.
93. ბერძენიშვილი ივანე სიმონის ძე, ხელოსანი.
94. კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, არტილერიის ჯარისკაცი.
95. კვარაცხელია ლავრენტი თადეოზის ძე, ზუგდიდის ქალაქის ხმოსანი.
96. კიკნაძე ალექსანდრე ილიას ძე, სოფლის მეურნე.

## ქალაქის არჩევნები

სომეხთა პარტიებმა ქალ. თბილისის არჩევნებს გამოუცხადეს ოფიციალურად ბოიკოტი. ისინი გაიძახიან:—ჩვენ ვერ შევურიგდებით ქვეშევრდომობის კანონს. თბილისი არის საერთაშორისო და არა მარტო საქართველოს ქალაქი. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ, ვინც კი სცხოვრობს თბილისში, საქართველოს მოქალაქეა ის, თუ არა. ნიშნად პროტესტისა ჩვენ ვაცხადებთ ბოიკოტს და ამით დავუმტკიცებთ მთელს ქვეყნიერობას, რომ ქართველები ჩვენზედ ძალმომრეობას ხმარობენო.

როგორც ჩვეულება აქვთ, ასტეხეს ამის შესახებ განგაში, და თავის პროტესტი ამცნეს რუსეთისა და ევროპის პრესსას და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს.

ისინი ჯერ კიდევ არ ჰკარგავენ იმედს, რომ გამოიწვიონ უცხო ძალის ჩარევა ჩვენს შინაურ საქმეებში და ეს ჩარევა გამოიყენონ თავის მიზნების განსახორციელებლად.

ყველასათვის ცხადია დღეს, რომ უცხო ძალა მოსულა ჩვენში ჩვენს სამეგობროთ და არა სამტროდ, მათი რეალური ინტერესები არ ეწინააღმდეგება თავისუფალ საქართველოს ინტერესებს და ჩვენს შინაურ საქმეებში ისინი არ ერევიან, მაგრამ დაშნაკცაკანური პოლიტიკა ისევ ძველი გზით მიდის და ძველს პოლიტიკურ ხრიკებსა და მახინაციებზედ ამყარებს თავის იმედებს და მომავალ ბედს.

ასეთი არის ამ საქმის ოფიციალური მხარე.

ბოიკოტი მართლაც გამოაცხადეს, თავისი სია არჩევნებში არ წარმოადგინეს და ამით ჩვენს დედა ქალაქში ბატონობაზედ ამიერიდან ხელი აიღეს, მაგრამ ნათქვამია:

Timeo danaos et dona ferentes (გეშინოდეს დანაელების იმ შემთხვევაშიც, როდესაც საჩუქარს გვთავაზობენო).

ასეთი ოფიციალური განცხადების მიუხედავად სომხის პარტიები ისევ ძველებურად აწარმოებენ არჩევნებისთვის მზადებას და ენერგიულად განაგრძობენ ჩვეულებრივ აგიტაციას.

რით აიხსნება ეს მზადება?

ჩვენის ღრმა რწმენით დაშნაკცაკანები არაოფიციალურად უსათუოდ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში და ისინი ხმას მისცემენ იმ პარტიას, რომელიც ყველაზე უფრო მავნებელია საქართველოსთვის და რომლის სიაშიც შეტანილია სომხის წარმომადგენლების დიდი უმრავლესობა არშაკ ზურაბიანციდან დაწყებული.

ეს არის სია № 4 რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის, რომელიც უყურებს საქართველოს, როგორც ძველი რუსეთის ნაწილს, არ სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის თავისუფლებას. დაშნაკცაკანები ზურგს უმაგრებენ ამ პარტიას და იმას მისცემენ თავის ხმებს.

ეს პარტია არის ჩვენთვის, როგორც თავის მიმართულებით, ისე შემადგენლობით მავნებელი და საშიშარია და ყოველივე შეგნებულმა მოქალაქემ მედგარი იერიში უნდა მიიტანოს იმათ წინააღმდეგ.

არის მეორე რუსული პარტია, რომელიც აგრეთვე ოფიციალურად აცხადებს ბოიკოტს, მაგრამ რომელიც საქართველოსთვის არა ნაკლებ მავნებელი და საზარალოა. ეს არის რუსეთის „კადეტების" პარტია.

არც იმათ აქვთ თავისი სია, მაგრამ „კონტრაბანდით" უნდათ გაიყვანონ თავისი ხალხი ან მეცხრე სიით, რომელიც წარმოადგინა „სახლის მეპატრონეთა კავშირმა". ამ კავშირმა, რო-

32

# უკანასკნელი ცნობები

კავკავში ბოლშევიკებს ამარცხებენ. მოსალოდნელია ქალაქში ინგუშების შესვლა.

გერმანიის მოხალისეთა ჯარი ლიტვაში ამარცხებს ბოლშევიკებს.

გერმანელები ლიბავას სცლიან; რიგა საბჭოთა მთავრობის ხელში გადადის.

ახალციხიდან ლ. რუხაძე იტყობინება, რომ საქირომ ვოლცხოვის რაიონის დაჭერა.

მელიც ცნობილი ლევანდოვსკის მიერ არის დაარსებული, შემოიკრიბა ის ელემენტები, რომელნიც სახლის მეპატრონეთა ინტერესებზედ კი არ ზრუნავენ, არამედ ეძებენ საშუალებას, რომ საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრონ და მისი თავისუფლება გაანადგურონ. ამ სიაში შეტანილ კანდიდატებისაგან ორი-მესამედი საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეა და მხოლოდ ერთი-მესამედი შეუტანიათ ქართველთაგან. ცხადია, ეს ქართველები შეცდომაში შეიყვანეს, რომ იმათი ხმებით ისარგებლონ, და საქართველოს მოქალაქეების ძალით საქართველოს მტრები გაიყვანონ ხმოსნებათ.

სახლის მეპატრონეებს სრული საშუალება აქვთ ხმა მისცენ იმ ქართულ პარტიებს, რომელნიც იცავენ მესაკუთრეების ინტერესებს და არას დროს არ უნდა იკადრონ, ხელი შეუწყონ საქართველოს მტრების გამრავლებას ქალაქის საბჭოში. ყველასათვის ცხადია, რომ დაშნაკელები და კადეტები თვალთმაქცობენ.

ეს უნდა შევიგნოთ და ღირსეული ანგარიში გავუწიოთ.

საქართველო განთავისუფლდა სხვის ბატონობისაგან.

დადგა ჟამი, როდესაც ჩვენი დედაქალაქიც უნდა ვიხსნათ უცხო და მოწინააღმდეგე ელემენტების ტყვეობიდან.

პართენ გოთუა.

## საერთაშორისო პოლიტიკისათვის

დიდათ საინტერესოა ეროვნულის თვალსაზრისით დაწყებული საარჩევნო კომპანია და მისი შედეგები. მაზე დამოკიდებულია ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აშენება. მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის იმას რაც ახლა ხდება ან რაც მოსალოდნელია მოხდეს პარიზში. იქ იკრიბებიან შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენელი. რომელთაც გასაჭირის დროს გასცეს ერთგვარი ავანსი თავიანთი ქვეშევრდომ ერებისადმი თვითგამორკვევის პრინციპის აღიარებით.

ყველა დიდ სახელმწიფოებთა მოუხდებათ თავიანთი საკოლონიო პოლიტიკის გადასინჯვა. შესაძლოა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი კონფერენციამ კი მიიღოს, მაგრამ გაავრცელოს მხოლოთ ევროპიულ ერებზე და ამით მხოლოთ ახალი ფორმულა შექმნას იმ ძველი აზრისათვის, რომ უუძველესი კულტურის ერები: ინდოელები, ეგვიპტელები, მოროკოელები, არაბები და სხვები. საერთო ცივილიზაციის ინტერესისათვის ევროპის დიდ სახელმწიფოთა მფარველობას საჭიროებენო. ის ხერხი, რომელსაც წინათ მიმართავდა დაპყრობილი სახელმწიფო სხვა ერის დასამონავებლად ეხლაც ხშირათ იხმარება. ჩვენ თვითონ მოწამენი ვიყავით მაროკკოს ისტორიისა. ეკონომიურათ, ფინანსიურათ და პოლიტიკურათ დაზიანებული სახელმწიფოხი უსათუოთ მოისურვებენ დახაკლისის ანაზღაურებას სხვა ერების და ქვეყნების საშუალებით და შეიძლება კიდეც აისრულონ წადილი ამ მხრივაც საინტერესოა მაროკკოს ისტორია. 1904 წ. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებით ორივე სახელმწიფოს წარმომადგენელნი მხოლოთ „თანადამხმარენი“ იყვნენ იმ ეკონომიურ, ფინანსიურ, ადმინისტრატიულ და სამხედრო რეფორმებისა, რომელიც უნდა გატარებულიყო ადგილობრივ მთავრობის მიერ მოროკკოში. 1910 წ. ფრანგებმა სავსებით დაისაკუთრეს ბატონობა მაროკკოში, მას შემდეგ როდესაც უკმაყოფილო ელემენტები იარაღით დაიმორჩილეს და მედილსათან სავსებით გაიმარჯვეს. რასაკვირველია, საფრანგეთი ადვილად უარს ვერ იტყვის მაროკკოზე. ვერც ინგლისი დათმობს თავის კოლონიებს, რომელთა საჭიროება სწორეთ ამ ომმა ყველაზე უფრო თვალსაჩინოთ გახადა.

წინააღმდეგ, დაქვემდებარებულ ერთა სია შეიძლება კიდევ გაიზარდოს. არც ერთ ხალხისა და სახელმწიფოსათვის არ დაუხარჯავთ მოკავშირეთ იმდენი, რამდენიც რუსეთისათვის დახარჯეს! უკანასკნელი იმავე დროს იყო საშუალება იაპონიის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. როგორც ერთ დროს ეგვიპტე და ოსმალეთი ან მაროკკო, რუსეთიც გახდება მოკავშირეთა შეთანხმებულ მოქმედების ასპარეზად. რუსეთი ვერ ასცდა განსაკუთრებულ შერეულ კომისიის დანიშვნას ეკონომიურსა, ფინანსიურსა და სამხედრო საკითხებისათვის. ყველაზე საშინლება ხომ ყოველთვის ის არის, რომ ერთის ნაცვლათ ბევრი ბატონი გაჩდება!

მეორეს მხრივ სპარსეთის ბედი ბევრათ წაავავს ზემოჩამოთვლილ ქვეყნების ბედს ჯერ კიდევ 1910 წელს ლონდონის კონგრესზე მისტერ ბერნარდ ტამპლმა სთქვა: „სპარსეთის დამოუკიდებლობა საფრთხეში იმყოფება, სპარსეთის რავდენიმე გაქნილმა პოლიტიკოსმა დიდის მწუხარებით მითხრეს, რომ სპარსეთის დამოუკიდებლობა უკვე დაკარგულაო“ მაშინ სპარსეთის საფრთხე რუსეთი იყო. ეხლა უკანასკნელი აღარ არსებობს, მაგრამ დიდი ომის ცვლილობამ დაამტკიცა, რომ გერმანიას სპარსეთზე დაყრდნობა მომაკვდინებელი ლახვარი იქნებოდა ინგლისის ბატონობისთვის ინდოეთში. ინგლისმა ისარგებლა თვისი მდგომარეობითა და გამაგრდა სპარსეთშიც. ეხლა სპარსეთის დელეგაციები, მიმავალი პარიზის კონფერენციაზე ჩვენს დედა-ქალაქს ესტუმრა და აქედან განაგრძო თავისი გზა. ჩვენ სხვა საშუალებაც გვქონდა სპარსეთის პოლიტიკურ ვითარების შესახებ ცნობები შეგვეკრიფა, რომელთა მიხედვით ცხადია, რომ სპარსეთის დამოუკიდებლობა პრობლემატიურია. ინგლისს არ შეუძლია ლმობიერების პოლიტიკა აწარმოოს სხვათა სასარგებლოთ. თვით ასეთი შესაძლებლობაც კი სისუსტეთ იქნებოდა მიჩნეული ინგლისელების მტრების მიერ. ყოველს შემთხვევაში თუ მსოფლიო გარემოება ძირიანად არ შეიცვალა, ინგლისის ყოველგვარი ინტერესია, დარჩეს სპარსეთში, როგორც თავმდები კონფერენციის მიერ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისა.

ამგვარად ერთი მხრით სპარსეთი და მეორე მხრით რუსეთი დაახლოვებით ერთსა და იმავე ორბიტაში ექცევა. თუმცა შინაურ ვითარებაში სპარსეთის მდგომარეობა სჯობს რუსეთისას, მაგრამ არსებითად იგი იგივეა პოლიტიკურად.

როგორი იქნება ასეთ პირობებში ამიერ-კავკასიის მდგომარეობა?

ევროპიელებს თავი მოაქვთ არა ფილოსოფიით, რომელიც აზიაში ისევე განვითარებულია, როგორც ევროპაში, არა მარტო ტეხნიკით, რომლის განვითარება ბუნების პირობებზეა დამოკიდებული და აზიაში კიდევ უკეთ შეიძლება, ვიდრე თვით ევროპაში, არა ზნეობით, რომელიც ფრიად შედარებით დაბალს საფეხურზეა ევროპაში, არამედ უწინარეს ყოვლისა დემოკრატიულ წესწყობილების პრინციპით, რომელიც აზიისათვის, როგორც ზოგიერთი ევროპიელი ამტკიცებს, აქამომდე უცნობი წესია. როცა სურთ ახალ ქვეყნის ასე თუ ისე დამორჩილება ევროპიელი პოლიტიკოსები ყოველთვის ამ პრინციპს მიმართავენ: ჩვენ უნდა შევიტანოთ ამ ქვეყანაში ევროპის ცივილიზაციის უმთავრესი ელემენტები, ეს ხალხი მაღალ პოლიტიკური ცხოვრებისათვის უნდა მოვამზადოთო.

მაგრამ ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, ასეთი გეგმის მოტანა ზედმეტია. ჩვენ მტკიცე დემოკრატიული წესწყობილება დავამყარეთ, და გავამტკიცეთ კიდეც. ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების სათავეში უაღრესათ დემოკრატიული მიმართულება დგას, რომელიც მხოლოდ თეორიაშია სოციალისტური. ჩვენ არა სოციალისტური მიმართულებაც საკმაოთ ძლიერია და ძლიერია სწორეთ თავისი დემოკრატიზმით. ამ მხრივ ევროპიელების ხანგრძლივი დარჩენა ახალს ვერაფერს შეგვძენს. ერის მთელი კულტურა და ეკონომიური ძალა ხომ სავსებით დემოკრატიზმში გამოიხატება!

შესაძლოა ჩვენ დაგვჭირდეს უცხო კაპიტალი, რომ დავაჩქაროთ ჩვენი ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაცია, მაგრამ კაპიტალის მოთავსება ჩვენში ხომ დამოკიდებულია ჩვენთან შეთანხმებაზე.

პოლიტიკურათ ჩვენ ძლიერნი ვართ; მართალია ჩვენ გვჭირდება ეკონომიური კავშირი სხვა სახელმწიფოებთან, პოლიტიკური ძლიერებისა და სიმტკიცის გამო ჩვენ შეგვიძლია ყოველგვარი გარანტია მივცეთ დაინტერესებულთ ჩვენში მოთავსებულ კაპიტალისტების უზრუნველ საყოფად. თვით ჩვენი სახელმწიფოებრივი წესწყობილება უდიდეს გარანტიას წარმოადგენს. ამიტომ ბედნიერ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ჩვენთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობები მივიღოთ.

ეს ფაქტი უკვე თავისთავადაც საკმაო ძლაა და იმავე დროს უფლებაც. მაგრამ ძალას გამოყენება უნდა და უფლებას კიდევ დაცვა. სხვა ერთა ბედის გაცნობამ და ჩვენმა წარსულმა გამოცდილებამ საკმაოთ სიფრთხილე და წინდახედულობა უნდა გვასწავლოს. საქართველოს სჭირდება და საქართველო ეიტანს მხოლოთ კეთილ განწყობილებას სხვა ერებსა და სახელმწიფოებთან.

ტ. მ.

## სომხეთ-საქართველოს კონფერენცია

(დასასრული)

IX. ფინანსიური საკითხი.

ორივე მხარეები მივიდნენ შემდეგ შეთანხმებამდე:

ა) სომხეთი ღებულობს ბონებს 80 მილიონ მანეთისა, იმდენს, რამდენიც მიიღეს თითო-თითოდ საქართველომ და ადერბეიჯანმა იმ ხელშეკრულების თანახმად, რომელიც დადებულ იქნენა მათ შორის 1918 წლის 15 ნოემბერს.

ბ) გამოშვებულ იქნება ახალი მე-4 სერია ამიერ-კავკასიის ბონებისა, რომლის რაოდენობა განისაზღვრება ურთიერთ შორის შეთანხმებით და რომლის შესახებ უნდა ეცნობოს მოკავშირეთა მისიას. ამ ბონების გამოშვება ხდება პარალელურად იმ ბონებთან, რომელიც გამოშვებულ უნდა იქმნეს სომხეთისათვის, მეოთხე მუხლში ნაჩვენები 80 მილიონი.

გ) კითხვა ჩამორთმეული თანხისა და ღირებულებათა შესახებ, სულ 13 მილიონ 600 ათასი მანეთისა საქართველოს წარმომადგენლის განცხადებით ამ კონფერენციიდან იხსნება და გადაწყვეტილ უნდა იქნეს საქართველოსა და სომხეთის მთავრობათა შორის შეთანხმებით; თუ შეთანხმება არ მოხდა, მაშინ მხარეებს შეუძლიანთ მიმართონ მოკავშირეთა სარდლობის არბიტრაჟს.

X. ყველა კითხვები, რომელიც კონფერენციაზე არ გარჩეულა, გადაწყვეტილ უნდა იქნას ორივე მთავრობათა შორის შეთანხმებით, ხოლო, თუ შეთანხმება არ მოხდა, საქართველოსა და სომხეთს შეუძლიან მიმართონ მოკავშირეთა სარდლობის არბიტრაჟს.

უახლოეს ხანში ჩვენს მკითხველებს გავაცნობთ კონფერენციის მთელს მსვლელობას.

## საქართველოს მთავრობის დეპეშა დიდი ბრიტანეთის მთავრობას

საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა დიდი ბრიტანეთის სარდლობას კონსტანტინეპოლში შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

დიდი ბრიტანეთის სარდლობას კონსტანტინოპოლში „საპასუხოთ თქვენი ტელეგრამისა 9—1—19—1—4342 რომელიც მიიღო საქართველოს მთავრობამ გთხოვთ პატივი დამდოთ და დიდი ბრიტანეთის საგარეო მინისტრს გადასცეთ შემდეგი:

„ქართველი ხალხი და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ღრმა კმაყოფილების და მადლობის გრძნობით იღებს თქვენ ცნობას იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა სიმპატიით ეპყრობა დამოუკიდებელ საქართველოს აღდგენას და რომ მზათ არის დაიცვას მისი უფლებანი საერთაშორისო კონფერენციაზე.

ეს ცნობა იწვევს ქართველი ხალხის გულში აღგზნებულ მადლობის გრძნობას და ნერგავს რწმენას, რომ დიდი ბრიტანეთის ერისა და საქართველოს რესპუბლიკის შორის დამყარდება საუკეთესო განწყობილება.

## ოზურგეთის ქალაქის არჩევნები

(„საქართველოს“ დეპეშა).

დასრულდა ქალაქის არჩევნები; ეროვნულ დემოკრატებმა მიიღეს 346 ხმა, სოციალ-დემოკრატებმა 1023, სოციალ-ფედერალისტებმა 79. ოც ხმოსანში ხუთი ეროვნული დემოკრატი იქნება, თოთხმეტი სოციალ-დემოკრატი, ხოლო ერთი ფედერალისტი

**ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის ორგანიზაცია.**

## ბათუმის ცხოვრება

როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ, იქ ოსმალეთის ჯარების გასვლის შემდეგ, ზოგიერთ რუს აგენტებს მოუსურვებიათ დროით ესარგებლათ და ბათუმის ოლქი დენიკინის მოხალისეთა ჯარების სამფლობელოდ გამოეცხადებინათ, მათი ასეთი მუშაობა [illegible] რაც არ შეწყვეტილა. მათ კავშირი ჰქონიათ თბილისში დაბუდებულ რუს აგენტებთან.

ამ დღეებში ბათუმს ესტუმრა გენერალი ლევანდოვსკი, რომელმაც გამართა თათბირი, იქ მყოფ სომეხ — რუს, საზოგადო მოღვაწეთა, რომელზედაც იმსჯელეს იმის შესახებ, თუ როგორ გამოაცხადონ ბათუმის ოლქი დენიკინის მოხალისეთა ჯარების სამფლობელოდ და რა გზით მოაწყონ ქართველთა წინააღმდეგ საგიტაციო ბიურო.

როგორც გადმოგვცემენ გენერალ ლევანდოსკთან ერთად ამ მიზნისათვის ცნობილი გენერალი ლებედინსკიც მოქმედობს.

## ქრონიკა

**წმიდა ნინოს უქმის გამო არ გამოვიდა ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომერი.**

**საღამო „ძმურ ნუგეშში“.** კვირას, 26 იანვარს, ქართულ ყავახანაში გაზეთ „საქართველოს“ ფონდის გასაძლიერებლად მხატვრული კაბარე გაიმართა.

დილის 4 საათამდის „ძმური ნუგეში“ გაჭედილი იყო მრავალი ხალხით და ყავახანის პატარა ბინა ვერ იტევდა მრავალ მსურველს, რომელთაც მონაწილეობის მიღება უნდოდათ მხიარულებაში.

კაბარეში მონაწილეობდენ: ქ-ნი თამარა მაჩაბელი და ბ-ნი სანდრო კორონა, ქ-ნი თამარ გვათუა, ქ-ნი ვოლსკაია და სხვანი.

კაბარეს ხელმძღვანელობდა და თამადობდა პოეტი პაოლო იაშვილი.

**სახალხო სახლი.** დღეს სახალხო სახლში სახ. სახ. არს. ქართ. სახალხო წარმოდ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „დღენი ჩვენის ცხოვრებისა“.

**ომის მსხვერპლი.** სომხეთ საქართველოს ომში დაიჭრა და დაავადმყოფდა 1905 ჯარისკაცი და სახალხო გვარდიელი. ხოლო დაიხოცა 109.

**ქალაქის გამგეობის გაეროვნებისათვის** ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს განზრახვა აქვს. აძლიოს შუამდგომლობა, ქალაქის გამგეობის გაეროვნება ერთი წლით გადასდონ. მათ განზრახვა აქვთ მოაწყონ ქართული ენის კურსები, სადაც ქართულის არ მცოდნე მოსამსახურენი ქართულ ენას შეისწავლიან.

**მიწად-მოქმედების მინისტრისა და ბორჯომის მამულებში მომუშავეთა შორის უთანხმოება.** მიწად-მოქმედების სამინისტროსა და ბორჯომი სახელმწიფო მამულებში მომუშავეთა შორის უთანხმოების გამო შრომის მინისტრმა წინადადება მისცა თბილისის გუბერნიის შრომის კომისარს, რომ მან გავლენა მოახდინოს მუშებზე რომ მათ მუშაობა არ შესწყვიტონ.

**ბოლშევიკების დამარცხება კავკავში** როგორც გვატყობინებენ ბოლშევიკების მდგომარეობა კავკავში კრიტიკულია, სოვდეპის მთავრობას ნიადაგი ეცლება, გაიქცა მთავრობის თავმჯდომარე ბულლე, მოსალოდნელია ამ დღეებში ქალაქს ინგუშები დაიჭერენ.

**ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენელნი ჯაფაროვთან.** ამ დღეებში ინგლისის მისიის სამოქალაქო პოლიტიკურ განყოფილების უფროსი გენ. ბიჩი ესტუმრა ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელს ბ. ჯაფაროვს და ჰქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. ამავე მიზნით ბ. ჯაფაროვს საფრანგეთის წარმომადგენელი პოლკოვნ. შარდიანი ესტუმრა.

**თავის მოკვლა.** 26 იანვარს თავის ბინაზე (დუშეთის ქ. № 21), რევოლვერით თავი მოიკლა მ. ხოფერიამ.

**გაძარცვა.** 26 იანვარს ა. ზახაროვს თავის ბინაზე (მეტეხის ქუჩა № 10), თავს დაესხნენ ბოროტგანმზრახველნი და 12,000 მანეთი წაართვეს და მიიმალნენ.

**ურუშაძის თანამდებობაზე დარჩენა.** ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებული ცნობა, ვითომც თბილისის მილიციის უფროსად ურუშაძის მაგიერად სულაქველიძე მოეწვიათ, სიმართლეს არ შეეფერება. ბ. ურუშაძე კვლავ თავის თანამდებობის ასრულებას განაგრძობს.

**ქალაქის საბჭოს სხდომა.** ორშაბათს ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა არ შესდგა, ამის მაგივრად შესდგა ქალაქის გამგეობის სხდომა, შესაძლებელია ქალაქის საბჭოს სხდომა ახალ არჩევნებამდი აღარ მოხდეს.

**ტრადიციული საღამო წმ. ნინოს სასწავლებელში.** ორშაბათს, 27 იანვარს წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში შესდგა ტრადიციული საღამო. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. საღამოს დაესწრნენ ინგლის-საფრანგეთის დელეგაცია, საქართველოს პარლამენტის წევრნი.

## პარტიული ცხოვრება

„ეროვნული პარტია“ და № 8.

დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატებმა კიდევ გამოიცვალეს თავისი ქურქი. ეხლა მათ „ეროვნული პარტია“ დაირქვეს სახელად.

ეს მოხდა სულ უკანასკნელ დღეებში, როდესაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სხვა და სხვა პარტიების საკანდიდატო სიების განხილვას შეუდგნენ.

დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატებს ამიერიდან „ეროვნული პარტია“ ეწოდება და ამ არჩევნებში მას № 8 მიენიჭათ. დიდი ენერგია დაუხარჯავს ამ „პარტიას“ რვა ნომერის მისაღებად. ბევრს ეს აკვირვებს, მაგრამ ეს საიდუმლოება არც ისე ძნელი გამოსაცნობია. როგორც კი ამ პარტიამ ამ ორი დიდი საქმის მოგვარება შესძლო და რვა ნომერი დაისაკუთრა და თან სახელიც გამოიცვალა, თვით გაზეთ „კლდემ“ თავისი სიხარული ვერ შეიკავა და იმ დღესვე ამცნობა მთელს ქვეყანას შავი სტრიქონებით.

დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატები არჩევნებში „ეროვნული პარტიის“ სახელით გამოვლენ და თან მერვე ნომერითაო.

რაშია საქმე, ეს კარგად უწყიან იმათ, ვინც ახლო იდგა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მუშაობასთან წარსულ დამფუძნებელ კრების არჩევნებში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სია იყო რვა ნომერი და ხალხში ამ სიას ეროვნული პარტიის სიას უწოდებდნენ, ამ ჟამად „დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატებმა“ მოახერხეს ამ სახელის და ამ ნომერის მიღება, და ამაზე ისინი დიდს იმედებს ამყარებენ. საბრალო ხალხი! სხვისი სახელის მითვისებით უნდათ ახლად შობილი პარტიის გაძლიერება!

როგორი პოლიტიკური ზნის უნდა იყოს პარტია, რომელიც მხოლოდ იმის ცდაშია, რომ მიითვისოს სხვისი სახელი და სხვისი ნომერი!

იქნებ ამ ქურქის გამოცვლამ მართლაც და გადაისროლოს რამოდენიმე ხმა მათს ცარიელს პარტიაში! მაგრამ ისინი სხვა გზითაც ცდილობენ ცარიელი პარტიის გამდიდრებას. მათ ყველა ჩვენი პარტიული მოღვაწეები ჩამოიარეს, არწმუნებდნენ მათ, რომ შეთანხმებული არიან ჩვენთან და საერთო სიით გამოდიან. სთხოვდნენ მათ თანხმობას სიაში შესატანად. ათეულებში აღმოჩნდა ორიოდე ჩვენი პარტიული მოღვაწე, რომელთაც მათ დაუჯერეს და მოსტყუვდნენ. ეს პირები ეხლა საქმის გამოსწორებას ცდილობენ, მაგრამ გვიანაა, ვინაიდან ეს საარჩევნო სიები დამტკიცებულია და ეს პირები ბ. ვეშაპელ-მაჩაბელის კომპანიაში მოყვნენ!

ასე იშვა და ასე მოღვაწეობს „ეროვნული პარტია“.

საქართველოსთვის უდიდესი ტრაგედია იქნებოდა, რომ მას „ეროვნული“ პარტია ამ სახით გასჩენოდა. მის და საბედნიეროთ ეს არ არის „ეროვნული პარტია“ და არც არავითარი პარტია, არამედ [illegible], რომელიც საარჩევნო [illegible] მდე თუ გასტანს.

## გორი.

კვირას 26 იანვარს გორის საკრებულოში შესდგა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო კრება, მომხსენებელნი იყვნენ პარლამენტის წევრნი ალ. ასათიანი და შალვა ამირეჯიბი. საკრებულოს დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. მომხსენებელთა სიტყვების დროს კრებაზე გამოცხადდა ადგილობრივ ფედერალისტთა ჯგუფი თბილისიდან ჩამოსულ ბ. ა. ფაღავას. რამიშვილის, საყვარელიძის და სხ. მეთაურობით. მათ სიტყვა მოითხოვეს და ილაპარაკეს. ხოლო როდესაც ჯერი მიდგა მომხსენებლებზე, ფედერალისტებმა მათთვის დროს განსაზღვრა მოითხოვს. როდესაც მათ ეს არ შეუსრულეს ობსტრუქცია გამართეს და კრება მიატოვეს. მიტინგზე სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებმაც ილაპარაკეს. მიტინგიდან წასული ფედერალისტები სოციალ-დემოკრატების კრებაზე წასულან და იქაც იგივე გაუმეორებიათ.

ეროვნულ-დემოკრატიულ მიტინგმა საღამოს 5 საათამდე გასტანა.

## სახლის პატრონებს

ქართველო სახლის პატრონებო!.. მომავალ საქალაქო არჩევნებში სახლის პატრონთა კავშირი თავისი სიით გამოდის... იგი სცდილობს თავისთვის გამოიყენოს სახლის პატრონებისა და განსაკუთრებით ქართველი სახლის პატრონების ხმები... მაგრამ, გაფრთხილდით... თქვენი ინტერესების დამცველად არ მიიღოთ ისინი, ვინც იმათ გარშემო შეკრეფილა. ისინი ბოროტად მოიხმარებენ თქვენ ხმებს; იმ სიით გვლენ ისინი რომელნიც მუდამ ეწინაღმდეგებიან თქვენს ინტერესებს... ისინი მოტყუილებით აპირებენ ხმების მიღებას...

იცოდეთ ყველამ, რომ ყველა მესაკუთრის და, მაშასადამე სახლის პატრონების დამცველი არის მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია... შემოკრბით მის გარშემო და ხმა მიეცით მის სიას № 2.

## საქართვ. დამფუძ. კრება და ქართვ. ისრაელები

2.

როდესაც ხდებოდა არჩევნები რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის, ქართველ ისრაელთა აქეთ თუ იქით გადახრა არ შეიტანდა არსებითს ცვლილებას იმ რეალურ ძალთა განწყობილებაში, რომელიც რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე დამკვიდრდებოდა.

მაგრამ, როდესაც ხდება არჩევნები საქართველოს დამფუძნებელ კრებისა, ქართველ ისრაელთა ხმა გაცილებით უფრო გავლენიანი ხდება და საგრძნობლად შესცვლის იმ ბრძოლის მიმართულებას, რომელიც გაიმფება ჩვენს დამფუძნებელ კრებაზე.

ქართველ ისრაელებს დიდი წილი უდევსთ სახელმწიფო ცხოვრების შედარებით წესიერ კალაპოტში ჩაყენებაში. მათ შესძლეს, ყოველივე დაბრკოლებების გარეშე შემოეტანათ საქართველოში ბევრნაირი საჭირო საგნები და ამით აცდინეს საქართველოს დიდი ეკონომიური კრიზისი. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, როდესაც გადავავლებთ თვალს ფოთის საბაჟო წიგნებს.

მაგრამ მრეწველობა ისეთი დარგია, რომელიც სრულიად ისპობა კერძო თაოსნობის შევიწროებით. ამის მაგალითები უხვად მიაწოდა ჩვენი სოციალისტების პრაქტიკამ და მწარე მოგონებების მეტს ვერაფერს აძლევს ქართველ ისრაელებს. ამ მაგალითების აღნუსხვა და კერძო თაოსნობის დახშობამ, რომ საცრად დასცა სახალხო მეურნეობა და სრულიად განიავა ვაჭრობა-მრეწველობა, ამას კარგად გრძნობენ და ხედავენ თვით ქართველი ისრაელებიც იმ მონოპოლიურ სისტემების შემოღებით, რომელშიც ასე გულუხვნი აღმოჩნდნენ ჩვენი სახელმწიფოს დღევანდელი საქმეთ მპყრობელნი.

ჩვენ ვიცით, როგორი საშინელი უკან დახევა მოახდინეს ჩვენმა სოციალისტებმა თვისი პრინციპებისა და იდეებისათვის ბრძოლის დროს და როგორი მტკიცე აღმოჩნდა ხალხის ნებისყოფა საკუთრების პრინციპების დაცვაში. ჩვენ ვიცით, არა მარტო ჩვენი პარლამენტის, არამედ სხვა სახელმწიფოების მაგალითებითაც, რომ ის მიმართულება, რომელსაც ათიოდე წარმომადგენელი ჰყავს პარლამენტში, მაგრამ მედგრად და მხნედ იბრძვის

...თვისი პრინციპებისთვის, გაცილებით მეტს აკეთებს, ვინემ დიდი ფრაქცია. და ეს მაგალითი გვაჩვენებს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქმიან ოპოზიციას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ჩვენ ვერაფერს ვიწინასწარმეტყველებთ საქართველოს დამფუძნებელი კრების მომავალ იდეოლოგიურ აგებულებაზე, მაგრამ იმას კი ვიტყვით რომ სწორედ ამ საქმიანი ოპოზიციის გაძლიერება აუცილებელია.

ი. ხანანაშვილი.

## საზავო კონფერენცია

საზავო კონფერენციის კომისიების შემადგენლობა: კლემანსომ გამოაცხადა დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლების გვარები, რომლებიც 5 კომისიაში იყვნენ დანიშნულნი. კომისიების დაარსება წინათვე იყო გადაწყვეტილი: I ხალხთა ლიგის კომისია, 1) ამერიკა: პრეზიდენტი ვილსონი და პოლკოვნიკი ჰაზი, 2) ინგლისი—რობერტ სესილ და გენერალი სმისტი, საფრანგეთი:—ლეონ ბურჟუა და ლარნოდი, 4) იტალია:—ორლანდო და სენატორი სციალოია, 5) იაპონია—ვიკენტი, შინ და ოჩია. II. ომის პასუხის მგებლობის კომისია: 1) ამერიკა—ორი დელეგატი, რომელნიც ჯერ არ დაუსახელებიათ, 2) ინგლისი—სერ გორდონ ხოვარტი, მეორე დელეგატი ჯერ არ დაუნიშნავთ, 3) საფრანგეთი—ტანდიუ და ლარნოდი, 4) იტალია—სენატორი სციალოია და დეპუტატი რემონდო, 5) იაპონია—2 დელეგატი, რომელიც ჯერ არ დაუსახელებიათ III. რესტავრაციის კომისია: 1) ამერიკა—ბარიუში და დავი სარკორლივი, 2) ინგლისი—იოზი, ხიმუნ დეკლორი და კიუნლისი, 3) საფრანგეთი—კლოტია, ლიუშერი და ლებრანი, 4) იტალია—სალანდრა, დაჰეგლო, მესამე დელეგატი ჯერ არ დაუსახელებიათ, 5) იაპონია—მოკი, მაგაფრა და ფრიკი IV. მუშათა საერთაშორისო კანონმდებლობის კომისია: 1) ამერიკა—იურლი და გამრპერი, 2) ინგლისი—ბერნსი და მალკოლანი, 3) საფრანგეთი—კლარდი და იუშარი, 4) იტალია—მაიორი დე-პლანგი და კაბრინი, 5) იაპონია—ოჩია და ოკა. V. კომისია ნავთ-სადგურების, საზღვაო და რკინის გზების მართველობისა: 1) შეერთებული შტატები: უეტი და კიდევ ერთი დელეგატი, 2) ინგლისი—სისტონი და ერთი დელეგატი, 3) საფრანგეთი:—ანდრია ვეისი და კლაველი, 4) იტალია:—კრესპი და დიმატინგი, 5) იაპონია:—იამაკავა და პოლკოვნიკი სიუტო.

დიდ სახელმწიფოების მინისტრებმა ორშაბათს დილით თავი უნდა მოიყარონ საგარეო საქმეთა სამინისტროში. მათ თათბირი ექნებათ გერმანიის ახალშენებზე და საერთო ხასიათის საკითხებზე. საზავო კონფერენციის შაბათის სხდომაზე შეუდგნენ ხალხთა ლიგის საკითხის განხილვას. კენჭი უყარეს შემდეგ რეზოლიუციებს: განიხილა რა წინადადებები ხალხთა ლიგის შედგენის შესახებ, კონფერენცია ადგენს: 1) საყოველთაო მშვიდობიანობის დასაცავად, რომელიც ეხლა უნდა დაამყარონ მოკავშირეებმა, საჭიროა შესდგეს ხალხთა ლიგა, ხალხთა კავშირის ორგანო, რომელიც უზრუნველჰყოფს უკვე მიღებულ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებას და შეუძლებელს გახდის მომავალში ომებს. 2) ეს ლიგა, რომლის შექმნაც საზავო ხელშკრულების ნაწილს შეადგენს, მისაწდომი უნდა იყოს ყველა კულტურულ ერისთვის, რომელსაც კი შეიძლება მიენდოს ლიგის მიზნების განხორციელება. ხალხთა ლიგის წევრები დრო გამოშვებით შეიკრიბებიან საერთაშორისო კონფერენციაზე. ამასთანავე მას უნდა ჰქონდეს მუდმივი ორგანიზაცია და სეკრეტარიატი, ლიგის მუშაობის თვალყურის სადევნებლათ ერთი კონფერენციის გათავებიდან მეორე კონფერენციის მოწვევამდე. ამის გამო კონფერენცია ნიშნავს შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენელთაგან კომისიას ლიგის კონსტიტუციის და მის ატრიბუტების შესამუშავებლად.

## სომეხთა ბრბოების თარეში.

**მანგლისის და ალბულაღის რაიონში.**

მანგლისის რაიონის კომისარმა კვაჭაძემ შემდეგი მოხსენება წარმოუდგინა თბილისის სამაზრო კომისარს ბ. გომართელს:

ჩემთან ხშირათ შემოდიოდა განცხადებანი ახალ-სოფლის საზოგადოების მცხოვრებთაგან, რომ 14 იანვრიდან მანგლისისა და ალბულაღის რაიონების საზღვრებში გამოჩნდა დაგეთხაჩინელ სომხების ოციოდე კაცისაგან შემდგარი ყაჩაღთა ბრბო, რომელიც თავს ესხმის აღნიშნულ საზოგადოების სოფლებს დაართმევს პურსა და თივას, მირეკავს პირუტყვებს და სხ. როდესაც ამ თავდამსხმელებმა მიიღეს საშიში სახე, ჩემ მიერ გაგზავნილი იქმნა რაზმი სამი მილიციონერისა და ადგილობრივ მცხოვრებთაგან 30 კაცისაგან უფროსი მილიციონერის შტაბს-კაპიტან მეტრეველის მეთაურობით რაზმი კვალ და კვალ დაედევნა ყაჩაღთა ბრბოს. გზაზე მდებარე სოფლების მცხოვრებნი რაზმს უცხადებდენ, რომ რამდენიმე საათის წინ გაიარა 15 შეიარაღებული კაცისაგან შემდგარმა ბრბომ, რომელიც პირუტყვებს მიერეკებოდაო.., კვალ და კვალ დევნის შემდეგ მდევარი რაზმი მიუახლოვდა მდინარე ხრამს ნახევარი ვერსის მანძილზე, სადაც თავმოყრილი იყო გატაცებული პირუტყვები, გაიყო სამ ნაწილად და ისე შემოერტყა ამ ადგილს. ამ დროს ორი მაღლობიდან გაუჩინეს ჩვენს რაზმს დიდი ცეცხლი, როგორც თოფებით, ისე ტყვიის მფრქვეველებისაგან. როგორც სროლიდან სჩანდა ბრბო შესდგებოდა 150—200 კაცისაგან. ჩვენი რაზმი იძულებული გახდა სროლითვე ეპასუხნა და ბრძოლაში ჩაბმულიყო, რაც 5 საათი გაგრძელდა... შემდეგი ამ სროლისა: ჩვენის მხრით მოგვიკლეს უფროსი მილიციონერი შტაბს-კაპიტანი მეტრეველი, რომლის გვამი ძლიერი ცეცხლის გამო ბრძოლის ველიდან ვერ იქმნა გამოტანილი და დაგვიჭრეს ერთი ჯარისკაცი. ყაჩაღთა მხრით მოკლულია 25 კაცამდე, ამათგან 11 ნახული გვამიდან ახსნილი იქმნა 11 ვინტოვკა და ორი ხელის ყუმბარა. ვინაიდან ჩვენ რაზმს ეჭირა უხერხული პოზიციები და რადგან ბრბოს მაღლობები ეჭირა, რაზმმა ბრძოლით დაიხია 22 იანვრის საღამოსვე და მხოლოდ 23 იანვრის 2 საათზე შესძლო ცეცხლის ალიდან გამოსვლა. რაზმი დაბრუნდა მანგლისში 24 იანვარს. მიღებულია სასწრაფო ზომები მოკლულ მეტრეველის გვამის გამოსატანად და ასეთ გამოსვლების სალიკვიდაციო, მაგრამ ადგილობრივი ძალებით ამ ბრბოების გაწმენდა სხვა ძალების დაუხმარებლად შეუძლებლად მიაჩნია, რადგან ბრბოებს უჭირავს მთის მწვერვალები, რომლებზედაც გაშენებულია ძველებური ციხეები.

აცნობებს რა ამას კომისარი კვაჭაძე შუამდგომლობს, რომ აღძრულ იქმნეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა ადგილობრივ მცხოვრებლებს გაეწიოს დახმარება, რომ ეხლავე აღმოფხვრილ იქნეს მრავალ-რიცხოვანი ბრბოების თარეში, თორემ შემდეგ ეს ძლიერ საბედისწერო ხასიათს მიიღებს და არც ისე ადვილი იქნება მათი დასჯა.

## ქართველობა და ბინის საკითხი თბილისში

მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რუსეთიდან ჩვენსკენ დიდძალი ქართველობა დაიძრა, ჯერ იმისთვის რომ ენახათ თავიანთი განთავისუფლებული სამშობლო, საქართველო, თითონაც რითიც შეეძლო დახმარება გაეწიათ თავის ქვეყნისთვის, ხმა მიეცათ და გაემაგრებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა, მეორე კიდევ იმისთვის რომ საკუთარი ცხოვრება მოეწყოთ. დაიმხო ძველი რეჟიმი და მოისპო სულისშემხუთველი ატმოსფერა, რომელიც დამყარებული იყო რუსეთის თვითმპყრობელობის დროს, როცა ქართველს საქართველოში ცხოვრება არ შეეძლო, როცა ის იძულებული ხდებოდა გაშორებოდა სამშობლოს და სხვაგან ეძოვა ცხოვრების სახსარი, იმავე დროს კი საქართველო ივსებოდა ათას ჯურა ხალხით. ახლა საქართველო უნდა იყოს და არის კიდეც უპირველესათ ქართველებისთვის!

და აი ეს ამოდენა გადახვეწილი ქართველობა, რომელის რიცხვი თითქმის ასი-ათასს უდრიდა მცირე გამონაკლისის გარდა, მოაწყდა საქართველოს, უმთავრესათ თბილისს. დაახლოვებით რომ მოვქვა, მაისიდან დღემდე რუსეთიდან დაბრუნდა არა ნაკლებ სამოცი ათასი სული; მარტო ნალჩიკის გასწვრივ ლების ქედზე, როგორც გადმომცა მახლობელი სოფ. ბალყანეთის კომისარმა, ამ ზაფხულს 15 ათასს ქართველს გადმოუვლია. ახლა აიღეთ ალაგირის გზა მამახათუნის გადასავალი, რომელზედაც დიდძალმა ქართველობამ გადმოირა, მერე საქართველოს სამხედრო გზა, ფოთის და ბაქოს გზა და აშკარა იქნება რამდენი ქართველობა უნდა ჩამოსულიყო სამშობლოში. და აი ამ ხალხის უდიდესი ნაწილი როგორც ზემოთ ვთქვით, მოაწყდა თბილისს. ზოგმა ვაჭრობა გააჩაღა, ზოგმა რაიმე ხელობა დაიწყო და ზოგიც სამსახურში შევიდა. საქმე მართალია მალე იშოვეს, მაგრამ ბინისა კი რა მოგახსენოთ: დიდ გაჭივრებას განიცდიან! ბინას მთელი კვირაც რომ იაროთ და ეძებოთ მაინც ვერ იშოვით; შეიძლება დიდი ხვეწნის შემდეგ მოქირავემ ინებოს და თავის მხრით გააქირავოს ერთი ოთახი, რომელშიც უსინათლოთ და უჰაერობოთ გთხოვთ ათ თუმანს ან კიდევ მეტს. რა გზაა რომ არ დათანხმდეთ, სულ ერთია სხვაგან ამ პირობებშიც ვერ იშოვით. ეს იმ დროს, როცა თითონ მოქირავეს უჭირავს ოთხი ან ხუთი ოთახი შვიდ-რვა თუმანში, ან კიდევ სამი სული ოთხ-ხუთ ოთახში ცხოვრობენ და სხვას ერთს ოთახსაც არ ანებებენ. რამოდენიმე ქართველი სწორეთ უბინაობის გამო გავიდა თბილისიდან, უმრავლესობა კი დიდს გაჭირებას განიცდის. საჭიროა რომ ბინის საკითხს შესაფერი ყურადღება მიექცეს, ის პირნი, რომელნიც უსაქმოთ არიან გავიდნენ თბილისიდან და ბინა მიეცეს საქმიან ჩამოსულ ქართველობას ან და უცხოელებმა ინებონ ცოტა შევიწროვდენ: რომ ამ ოთხ სულს ოთხი, ხუთი და ექვსი ოთახი არ ეჭიროთ: დაკმაყოფილდნენ ორ ან სამ ოთახით და ამ გზით საშუალებას მისცემენ სამშობლოში ჩამოსულ ქართველობას დაბინავდეს და მოეწყოს.

სხვათა შორის მსურს აღვნიშნო, რომ ის ცნობა, რომელიც სომხური გაზეთში „არაჩ“-ში იყო აღნიშნული, თითქოს ქართველობა ქალაქ თბილისში არ აღემატება ოცდახუთმეტ პროცენტსო, სიმართლეს მოკლებულია; თამამათ შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქართველობა თბილისში 60 პროც. მეტია და თუ ყველა ქართულ მოლაპარაკეს ვიანგარიშებთ ალბათ 80 პროცენტსაც მიაღწევს, სხვა არა იყოს რა, საყურადღებოა, რომ ამ ათი წლის წინათ ქართულ ენას იშვიათათ ისმოდა ქუჩაში, ეხლა კი ცოტას გამონაკლისით სულ ქართული ლაპარაკი ისმის მარცხნივ თუ მარჯვნივ: ეს იმის მომასწავებელია, რომ ქართველობამ თბილისში საგრძნობლათ იმატა.

კ. ქურდევანიძე.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

### ფრანგული პრესა

22 იანვარი.

**უმუშევრები გერმანიაში**

გერმანიიდან იუწყებიან: გერმანიის მთავრობა ამ ჟამად იხილავს 24 იანვრიდან მუშაობის შეჩერების საკითხს. შინაგან საქმეთა კომისარს ამის შესახებ თათბირი ქონდა პრუსიის მინისტრებთან. პროექტით სასოფლო თემებს შეუძლია გააძევონ თავიანთ ტერიტორიიდან ის მუშები, რომელნიც უარს განაცხადებენ სამუშაოზე რომელთაც მას მიაწოდებენ. დამქირავებელ კანტორებს უფლება ეძლევათ მიაწოდონ სამუშაო ქვრივებსაც და მცირე წლოვანებსაც. იმ შემთხვევაში, თუ მუშა უარს იტყვის სამუშაოზე, მას ეკარგება უფლება მიიღოს ის დახმარება, რომელსაც უმუშევართ აძლევენ. იმედი აქვთ, რომ ამ ზომებით შეამცირებენ მუშაობის შეჩერებას.

ავსტრიის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ ბერნიდან იუწყებიან, რომ სოციალისტები, რომელნიც თითქმის უმთავრეს როლს თამაშობდენ მთავრობაში პირველათ დროებით კრილობაზე დამარცხდენ.

ფინლიანდიის სეიმმა ოთხშაბათს მიიღო სამხედრო ბეგარის შემოღების კანონპროექტი.

ლენინის ორგანოს „პრავდას“ ცნობით, საბჭოთა მთავრობას უნდოდა გაეგზავნა პარიზში დელეგაცია, რომელიც რუსეთის წარმომადგენელი იქნებოდა.

რამოდენიმე დღის წინათ პარიზიდან სტრასბურგში მოვიდა საქონლით დატვირთული პირველი ტრანსპორტი.

### გერმანული პრესა

**დროებითი ზავი**

გერმანიის მთავრობის განკარგულებით, დროებითი ზავის გერმანიის კომისიამ ენერგიული პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ მოკავშირეთა მიერ დაპყრობილ გერმანიის ადგილებთან სავაჭრო ურთი-ერთობის გამართვა აკრძალეს. კომისიამ სთხოვა საფრანგეთის კომისიას გააუქმოს ეს განკარგულება.

გერმანიის ყოფილ საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარის პრესის წარმომადგენელთან საუბარი: შინაარსი სისწორით არ იყო გადმოცემული: ციმერმანს სრულიად არ უთქვამს, რომ გერმანიას განზრახული ქონდა საფრანგეთის რამოდენიმე ოლქის დაპყრობა. ნამდვილათ ციმერმანმა განაცხადა, რომ გერმანიას არ სურდა საფრანგეთის ოლქების შემოერთება. ბელგიის შესახებ ციმერმანმა მართლაც განაცხადა, რომ სამხედრო წრეები მნიშვნელობას აძლევდენ ლიეჟის შემოერთებას, მაგრამ ფედერალურმა მთავრობამ უარყო ასეთი წინადადება, თუ გერმანია გაიმარჯვებდა, მას სრულებით არ სურდა ბელგიის უმცირეს ნაწილის შემოერთება. მას სწადდა მხოლოდ ბელგიასთან კავშირის შეკვრა, რაც ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნებოდა.

**სპარტაკელები.**

ჩრდილოეთის ზღვის კუნძულების მცხოვრებნი შეშინებული არიან სპარტაკელთა ბრბოებით, რომელნიც ყველგან ჩნდებიან.

რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ხელფასის გაძვირებას და დაეხმარონ უმუშევართ, სოფლის საზოგადოებებს უფლება მიენიჭათ დახმარება შეუწყვიტონ იმ უმუშევრებს, რომელნიც მუშაობაზე უარს ამბობენ და ამისთვის საპატიო მიზეზი არა აქვთ. თუ ეს ზომა საკმაოდ ნაყოფიერი არ გამოდგა, მიმართონ უფრო სასტიკ ზომებს; მხოლოდ ერთ სამიწადმოქმედო რაიონში საჭიროა 600,000 მუშა. მუშა ხელის სიმცირე დამღუპველათ იმოქმედებს გაზაფხულის სამუშაოებზე.

### ინგლისური პრესა.

**მოკავშირეები და ბოლშევიკები.**

ეიფელის კოშკიდან უმავთულო ტელეგრაფით რუსეთის გავლენიან ჯგუფებს წინადადება გაუგზავნეს ქ. პრინციპოში პრინცის კუნძულებზე გაგზავნონ სამ-სამი წარმომადგენელი. ფრანგული გაზეთები განაგრძობენ უმაღლესი საბჭოს რუსეთის შესახებ გადაწყვეტილების კრიტიკას. ზოგიერთი მათგანი გაკვრით აღნიშნავს, რომ ვილსონი ბოლშევიკებს აიძულებს უფრო ენერგიულად ამოქმედდნენ რათა ამნაირად კალობრიობა მოამზადოს ბოლშევიკებთან ბრძოლისთვის ისე, როგორც ამერიკა მოამზადა გერმანიასთან ბრძოლისთვის.

**დანციგის საკითხი.**

დანციგმა ჰინდენბურგს სთხოვა აღმოსავლეთ პრუსიის დაცვა. ჰინდენბურგი დაჰპირდა წინააღმდეგობა გაუწიოს აღმოსავლეთ პრუსიის გერმანიის იმპერიისაგან გამოშორების.

**სპარტაკელების აჯანყება ჰამბურგში.**

სპარტაკელთა აჯანყების გამო ჰამბურგში საალყო წესები გამოაცხადა.

**კონტრ-რევოლიუცია პორტუგალიაში.**

პორტუგალიიდან ერთი-მეორეს საწინააღმდეგო ცნობები მოდის. ლისაბონიდან იუწყებიან, რომ ლისაბონის გარნიზონის უმრავლესობამ მონარქი აღიარა და მონარქისტებმა ლისაბონის ახლო დაიჭირეს უმავთულო ტელეგრაფის სადგური მეორეს მხრით ლისაბონიდან ცნობაა, რომ მონარქისტების მოძრაობა შეჩერებულიაო.

**თემთა პალატაში.**

ლონდონის გაზეთების ცნობით, თემთა პალატის თავმჯდომარემ (სპიკერმა) თანხმობა განაცხადა, რომ მუშათა პარტიის ლიდერმა ოპოზიციის წინა სკამი დაიკავოს პარლამენტში. სტეფანე გვინის თავმჯდომარეობით შესდგა ირლანდიის ცენტრის პარტია, რომელსაც მიზნათა აქვს მოუპოვოს თვითმართველობა შიგნით იმპერიაში და საოლქო თვითმართველობა ირლანდიაში პროვინციალურ კრილობებით.

**გერმანიის დამფუძნებელი კრება.**

ბერლინიდან ოფიციალურად იუწყებიან სოციალისტურ უმრავლესობას აქვს 164 მანდატი, ცენტრს—88, გერმანიის დემოკრატიულ პარტიას—44 ნაციონალისტებს 49, დამოუკიდებელ სოციალისტებს—26, გერმანიის სახალხო პარტიას—23 და ახალ პარტიას—11.

**ბოლშევიკური ცნობები**

**მისკოვი**, იანვრის 22. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. რიგა იანვრის 25 და 22. ოთხი საათის ბრძოლის, ლატიშელთა ჯარმა აიღო ბრძოლით შრუნდენი, რომელიც ვინდავის მარცხენა მხარეზე მდებარეობს. მდ. ვინდავაზე თეთრგვარდიელებმა ააფეთქეს ხიდი. ბრძოლის შემდეგ წითელგვარდიელებმა გოლდინგენი დაიჭირეს.

**ბარკო**, იანვრის 24. გამოვიდა კომუნისტური პარტიის გაზეთების პირველი ნომერი.

**რიგა**, იანვრის 25. რიგა საბჭოთა მართველობის ხელში გადადის. მურვიევის სადგური ლატიშელთა წითელარმიელებმა დაიჭირეს.

### ფრანგული პრესა

ომის პასუხისმგებლობისა, მუშათა შესახებ კანონმდებლობისა და გზათა მიმოსვლის კანონდებულების კომისიებში შევლენ ორ-ორი წარმომადგენელი ყველა დიდ სახელმწიფოებისაგან და სხვა სახელმწიფოების 5 რწმუნებული. ერთხმათ დაადგინეს ორშაბათის დღიურ წესრიგში შეიტანონ კომისიებში დელეგატების არჩევა.

**ვილსონის მოგზაურობა**

კვირა დილით პრეზიდენტი ვილსონი თავის მეუღლით გაემგზავრა პარიზიდან შატო-ტიერში და რეიმსში. რეიმსში მათ მიეგება კარდინალი ლიუკონი. მათ დაათვალიერეს 1917 წ. აპრილის ბრძოლების დროს დაზიანებული ქალაქი და საღამოს ისევ პარიზში დაბრუნდენ.

## საქართველოს პარლამენტში

**22 იანვრის სხდომა.**

კამათი გრძელდება აგრარულ კანონ-პროექტის შესახებ, წინა სხდომაზე ორატორთა ლაპარაკის დრო განსაზღვრეს 10 წუთით. რამდენიმე ორატორის შემდეგ კამათი შეწყდა.

**მომხსენებელი კ. ნინიძე:**

ამ კანონ-პროექტის განხილვაზე აუარებელი შრომა და დრო დაიხარჯა, ხოლო ნაყოფი, როგორც ხედავთ, ძლიერ ცოტა მოიტანა. ამის მიზეზია ის გაუგებრობა, რომელმაც ამ კანონ-პროექტის გარშემო იჩინა თავი. ბევრი ისეთი რამეები ითქვა, რაც სულ არ შეეხებოდა წარმოდგენილ კანონ-პროექტს. საკითხის სწორეთ დაყენება შესძლო მხოლოდ ს. ფირცხალავამ, რომელმაც განაცხადა, რომ ჩვენ ბედმა გვარგუნა სახელმწიფოს აშენება ბურჟუაზიულ ხანაშიო. სწორეთ ეს დებულება დაედვა საფუძვლათ ამ კანონ-პროექტს. სამწუხაროთ ფირცხალავამ თავის სიტყვაში თავისი სწორი დებულება დაარღვია და განაცხადა, რომ კერძო საკუთრება უნდა მოვსპოთ და გლეხები სოციალისტურ მოძრაობაში ჩავაბათო. აქ არის ორი გარემოება, რომელიც ერთი მეორეს ეწინააღმდეგება: ერთი არის ის, რომ ჩვენ სოციალისტებს გვიხდება სახელმწიფოს შენება ბურჟუაზიულ ხანაში, მეორე—ჩვენ, სოციალისტებმა, გლეხები სოციალისტურ მოძრაობაში უნდა ჩავაბათ. მეც სოციალისტი ვარ და მწამს გლეხების სოციალისტური მოძრაობაში ჩაბმა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, ბატონებო, რომ კანონმდებლობა სხვაა და პარტიული მუშაობა კი სულ სხვა. ამ შემთხვევაში შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიოთ სახელმწიფოებრივ ინტერესებს. თქვენ ბატონებო, ბალშევიკები არ ხართ, მაგრამ ამ შემთხვევაში ბალშევიკურად იქცევით. აქ არც ერთი კანონ-პროექტის მოწინააღმდეგე ორატორი ანგარიშს არ უწევდა იმ გარემოებას, რომ შეიძლება თუ არა სოციალიზაციის გატარება, შეეფერება თუ არა ის ჩვენს სინამდვილეს, შეესაბამება თუ არა ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას. აქ გაგვაცნეს—ორი პროექტი: ს. რევოლიუციონერების და ს. ფედერალისტების. მე მგონია, რომ თუ მათ სურდათ საფუძვლად დადებოდა მათი პროექტი აგრარულ კანონ-პროექტს, მაშინ ისინი ამას კომისიაში შემოიტანდნენ (ლ. შენგელია: იქ დამარხავდენ). მე ვაცხადებ, რომ ეს კანონ-პროექტი ირჩეოდა მკათათვეში. ჩვენს პარტიულ ამხანაგებშიც არ იყო ერთსულოვნება. ჩვენთვის მაშინ ყოველგვარ კონკრეტიულ პრაქტიკულ მოსაზრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ღლონტმა იკისრა მოხსენების წარმოდგენა, მაგრამ მან თავის მოხსენებით პრაქტიკული არაფერი მოგვცა, გარდა განყენებული აზრებისა.

ბატონებო, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ კანონმდებლობა უკომპრომისოთ შეუძლებელია.

ს. ფედერალისტების პროექტის 1 მუხლი ამბობს, რომ მთელი მიწა შეადგენს ხალხის ავლა-დიდებას. ჩვენი კანონ-პროექტი ეხება მიწების დარიგებას, ამაზე კი აქ არაფერია ნათქვამი. სოც.-რევოლიუციონერების პროექტი კი უფრო რადიკალურია. ის თავისუფალი თარგმანია იმ პროექტისა, რომელიც ესერებმა მეორე სახელმწიფო სათათბიროში წარადგინეს. ამ პროექტში ესერებს შეუცვლიათ მხოლოდ 1 მუხლი. დანარჩენ მუხლებშიაც შეუტანიათ ცოტაოდენი ცვლილება. ამ პროექტში დიდი წინააღმდეგობა არის. ერთ მუხლში სახალხო ავლადიდებათ ცხადდება, როგორც მიწის ზედაპირი, ისე მისი წიაღი, მეორე ადგილას კი მარტო ზედაპირი. მე ეს არ მიკვირს. კაბინეტში შესაძლებელია ყოველ-გვარი პროექტის შემუშავება. მაგრამ საქმე პროექტში როდია, საქმე იმაშია, შეეფერება თუ არა პროექტი მდგომარეობას. შეიძლება თუ არა მისი ცხოვრებაში გატარება? პროექტის ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა ეკონომიური და ფსიხოლოგიური მომენტი. ეკონომიური პირობები კი ჯერ მზათ არ არის. როგორ გინდათ გაატაროთ სოციალიზაცია, როცა შესაფერი აპარატი არ მოგეპოვებათ? ღლონტმა გვითხრა აქ, რომ შრომის კოოპერატივები მოეწყობა და ის მოაწესრიგებს საქმეებსო. ბატონებო, ჩვენ ამ კანონ-პროექტის დამტკიცებისთანავე უნდა გადავცეთ მიწები, და მე გეკითხებით თქვენ—გაქვთ თუ არა მზათ თქვენი კოოპერატიული აპარატი. (ღლონტი—ჯერ არა, მარა შევქმნით). როცა შექმნით, როცა პირობები შეიცვლება, მაშინ, რასაკვირველია, აქ სხვანაირი კანონ-პროექტი იქნება შემოტანილი. ახლა კი თქვენი კანონ-პროექტი, რომ მივიღოთ, სოფლად ბარბაროსობა გამეფდება. ახლა ავიღოთ მომენტი ფსიხოლოგიური. ხალხი თქვენს პროექტს ვერ მიიღებს. ის თავისი სალი ინსტიქტით გეტყვისთ, რომ თქვენ სასურსათო მაღაზიები ვერ მოგიწყვიათ, მილიციის საქმეები ვერ მოგიწესრიგებიათ და მიწას კი საერთო ავლა დიდებათ აცხადებთო. ხალხის უმრავლესობა ამას არ მიიღებს. ს.-რევოლიუციონერებიც გრძნობდენ ამას და ამბობდენ, რომ გავსწიოთ ხალხში პროპაგანდა, მოვამზადოთ და ისე გავატაროთ სოციალიზაციაო. ბ., ჯერ მოამზადეთ ხალხი, შექმენით შესაფერი პირობები და შემდეგ ილაპარაკეთ სოციალიზაციის გატარებაზე. სოციალიზაციაზე რომ ლაპარაკობთ, განა სოციალიზაციას სოციალიზმი არ სჯობია? და თუ თითების აწევაზე და ჩვენზეა საქმე, აქ უმრავლესობა სოციალისტები ვართ, მოდი ავსწიოთ თითები და დავადგინოთ, რომ ამიერიდან აქ მყარდება სოციალიზმი. მაგრამ ასე როდია საქმე. შემდეგ მომხსენებელი იცავს წარმოდგენილ კანონ-პროექტის მუხლებს და ამბობს, რომ, თუ თქვენ მართლაც გაინტერესებთ საქმე, გვიჩვენეთ პრაქტიკული ზომა, გზა და მერე ვილაპარაკოთ მაზე. განყენებულ შეუსაბამო აზრებს ჩვენ არ გავყვებით (ტაში მარცხნით).

თავმჯდომარემ კენჭი უყარა სამივე პროექტს. აგრარული კომისიის კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს ს.-რევ., სოც.-ფედ და დამოუკ. ნაც. დემ. ს. რევოლიუციონერების კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს სოც. დემ. და ნაც. დემოკრატებმა. სოც. ფედერალისტებმა თავი შეიკავეს სოც. ფედ. პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს სოც. დემ. და ნაც. დემ., სოც. რევ. თავი შეიკავეს.

პარლამენტი გადადის კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაზე.

ს. რევოლიუციონერები აცხადებენ, რომ კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაში მონაწილეობას არ მიიღებენ.

1 მუხლის შესახებ ლაპარაკობენ თ. ღლონტი, დადიანი. ისინი მოითხოვენ სოციალიზაციას, ს. დემოკრატებს უკიჟინებენ პროგრამის დავიწყებას და სხ.

**მიწად-მოქმ. მინისტრი ნ. ხომერიკი**

კანონ-პროექტს და ჩვენს პროგრამის შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არის. კერძო საკუთრებას ჩვენ ამ შემთხვევაში არც უარვყოფთ და არც ვამტკიცებთ. ჩვენ მხოლოდ ვადასტურებთ იმას, რაც არის. არც სოციალიზაცია სპობს კერძო საკუთრებას. საერთო მიწად-მფლობელობა წინეთაც იყო, მაგრამ კერძო საკუთრება მაინც არსებობდა. ჩვენ პრინციპიალურად კერძო საკუთრების წინააღმდეგნი ვართ, მაგრამ ამ ჟამად ჩვენ ანგარიშს ვუწევთ არსებულ მდგომარეობას.

მოხსენებლის განმარტების შემდეგ პირველი მუხლი მიღებულ იქმა. ს. ფედერალისტებთან ერთად დამოუკ. ნაც. დემოკრატებმაც მისცეს ამ მუხლის წინააღმდეგ ხმა.

მესამე მუხლის შესახებ ლაპარაკობს გერონტი ქიქოძე (ნ.-ც.).

**გერონტი ქიქოძის სიტყვა**

(სტენოგრაფიული ანგარიშიდან).

ბატონებო, ამ ექვსი თვის წინად, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ზოგიერთი ჩვენი ფინანსისტი, მეტის-მეტად პესიმისტურ პერსპექტივებს გვიხატავდა. სმირნოვის ტიპის ეკონომისტები ამბობდნენ, რომ საქართველოს არ შეუძლიან დამოუკიდებელი არსებობა ეკონომიურ მიზეზების გამო. საქართველოს ექმნება ისეთი პასიური ბალანსი რომ აუცილებელი ხდება მისთვის ხელახლა დაბრუნება ძველ მდგომარეობაში. საქართველოს ექნება შემოსავლი

უპირველეს მოთხოვნილებისა საგნები, პური და სათბობი მასალა. მაგრამ, ექვსი თვის ევოლიუციამ, საქართველოს ეკონომიურმა მდგომარეობამ დაამტკიცა, რომ ეს პროგნოზი არ არის მართალი.

რუსეთიდან ჩამოშორებამ, რუსეთის იაფ-ფასიან პურის კონკურენციის მოსპობამ, გამოიწვია მიწის რენტის გაზრდა, და მიწის რენტის გაზრდას მოჰყვა დამუშავებულ რაიონების გაფართოვება. და ამან კი, თავის მხრით, როგორც მოგეხსენებათ, გამოიწვია ის, რომ საქართველოში წელს თითქმის საკმაო პური მოვიდა და მოსალოდნელი არის, რომ მომავალ წლისთვის, როდესაც ეს აგრარული კანონი ცხოვრებაში გატარდება, პური არა თუ სამყოფი იქნება, არამედ, შესაძლებელია, უცხოეთში გასატანიც გვექნეს. ამავე დროს მიწის ფასი საქართველოში მატულობს მეტის პროპორციით, ვიდრე სხვა საგნების ფასი. რამ გამოიწვია ეს მიწის რენტისა და მიწის ფასის გაზრდა. ჩემის აზრით, ეს უწინარეს ყოვლისა, გამოიწვია იმ პოლიტიკურმა აქტმა, რომელსაც ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ვუწოდებთ. ძირითადი მიზეზი მაინც, რასაკვირველია, რევოლიუციაა. მიწის რენტის არა-ჩვეულებრივს ზრდაში წილი არ უძევს არც მემამულეებს, არც სხვა რომელიმე კლასს. ესე იგი, ეს არ არის შედეგი არც კულტურულ შრომისა, არც კაპიტალის დახარჯვისა, არამედ თვით სახელმწიფოებრივი შემოქმედებისა. ეს სახელმწიფოებრივი აქტები რომ არ ყოფილიყო, საქართველო რომ რუსეთს არ გამოჰყოფოდა, საქართველო რომ ადრინდებულად რუსეთის გუბერნიათ დარჩენილიყო, მაშინ უეჭველია, იაფ-ფასიან პურის კონკურენციის გამო, ჩვენში მიწის ფასის და დამუშავებულ რაიონის სივრცეც იმ დონეზე იქნებოდა, როგორც წინად იყო. მაშასადამე, სახელმწიფოს უფლება აქვს, საადგილმამულო ფონდი გამოიყენოს არა ერთი რომელიმე კლასისა, არა მემამულეებისა, ან ბოგანო გლეხების ინტერესებისა, არამედ სახელმწიფოებრივ მიზნებისათვის.

თქვენ მოგეხსენებათ, ბატონებო, რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი ფინანსები. მიწათ-მოქმედების მინისტრმა სამართლიანად აღნიშნა, რომ სახელმწიფო ფინანსიურ კრიზისის წინაშე იმყოფება. მაშასადამე, სახელმწიფოს აქვს არა მარტო უფლება, არამედ საჭიროებაც. ის საჭიროებს, რომ მიწის ფონდი, რომელიც უდიდეს სიმდიდრეს წარმოადგენს, გამოყენებულ იქმნას ფინანსიურ კრიზისს თავიდან ასაცდენად. მაგრამ ეს შეუძლებელი იქნება თუ მივიღეთ კანონ-პროექტის მესამე მუხლი, როგორც ეს მთავრობის მიერ არის წარმოდგენილი: თუ მიწა გაიყიდა არა ნორმალურ ფასებში, არამედ უმიწა-წყლო ბოგანო გლეხებს მიეცა თავის-თავად ცხადია, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესები მცხოვრებთა ერთ მცირე ხაწილს შეეწირება, უკეთ ვსთქვათ, ერთი კლასის ნაწილის, სახელდობრ ბოგანო გლეხების. ეს ამ გზით ჩვენ ვერ მივიღებთ იმას, რისიც მიღება არ შეგვიძლიან მიწის ფონდის განაღდებით.

გახმარტებითი წერილში, რომელიც კანონპროექტს აქვს დართული აღნიშნულია, რომ შესაძლებელია სახელმწიფომ დაახლოვებით ორასი მილიონი მანეთი მიიღოს, გასანაწილებელია დაახლოვებით შვიდასი ათასი დესიატინა. თუ ეს ფონდი გაიყიდება, მე არ ვიტყვი სპეკულიანტიურ ფასებში არამედ ნორმალურ საშუალო ფასებში ჩვენ ამოვსწურავთ იმ ფულს რომელიც საქართველოში ტრიალებს, მეტის მეტად ამძიმებს ჩვენ ფულის ბაზარს, და ჰქმნის იმ კრიზისს და გვიახლოვებს იმ საშინელ კრახს, რომლის შესახებ ისე მჭერმეტყველურად ლაპარაკობდა ბ. მიწათ მოქმედების მინისტრი. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ბატონებო, რომ ჩვენ მივიღეთ ეს მესამე მუხლი, და მიწა მივყიდეთ შეღავათიან პირობებში უმიწაწყლო და მწირე მიწის მქონე გლეხებს, დაკმაყოფილებული იქმნება თუ არა ამით თუნდაც მათი კლასობრივი ინტერესები? მე მგონი, რომ საკმარისი არ არის მიწის მიყიდვა შეღავათიან ფასებში, რომ თქვენ დააკმაყოფილოთ ეს მცირე მიწის მქონე, ბოგანო გლეხობა, სოფლის პროლეტარიები; საჭიროა მისცეთ ინვენტარი, საჭიროა მისცეთ საქონელი, რომელიც მას არ გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში ბოგანო გლეხი იძულებული იქმნება ის მიწა, რომელიც შეღავათიან პირობებში იყიდა ბოლოს მაინც გაჰყიდოს, და მიყიდოს სოფლის ჩარჩებს, სოფლის სპეკულიანტებს. ასე რომ საბოლოოდ ეს მიწა მაინც სპეკულიაციის საგნად გადაიქცევა, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას ექმნება ის უარყოფითი მხარე რომ მისი ალებ მიცემობა სახელმწიფოს კონტროლის გარეშე დარჩება.

ამგვარად ეს მიწა მაინც სოფლის ჩარჩებს და სპეკულიანტებს ჩაუვარდება ხელში იმიტომ რომ ბოგანო გლეხი, რომელსაც არა ჰყავს არც საქონელი, არ აქვს ინვენტარი, არ აქვს კაპიტალი მიწას ვერ მოუვლის. აქედან ცხადია, რომ უფრო მიზან შეწონილი იქნება არა მარტო სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით, არამედ თვით აგრარული პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესის მიხედვითაც, რომ მიწა ნორმალურ ფასებში გაიყიდოს და მიეცეს იმ საშუალო და შეძლებულ გლეხობას, რომელიც არის მთავარი საფუძველი დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკისა. ხოლო უმიწაწყლო ბოგანო გლეხობა სხვანაირად, სხვა გზით უნდა დაკმაყოფილდეს. მიწა დღეს უსამართლოდაა განაწილებული არა მარტო წოდებათა არამედ პროვინციებს შორის. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ბორჩალოს მაზრისა, ზაქათალის ოლქისა სოჭის ოლქსა შიროქსა და ყარაიაზში დიდი ხალვათობაა, დანარჩენ საქართველოში, განსაკუთრებით იმერეთსა რაჭასა, გურია—სამეგრელოში მიწის დიდი სივიწროვეა ისე რომ ბუნებრივია, რომ იმ ადამიანური რეზერვუარის, რომელსაც დასავლეთი საქართველო წარმოადგენს, ერთგვარი მიმართულება მისცეს პერიფერიებისაკენ რათა განაპირა პროვინციების ნაციონალიზაცია მოხდეს. (თავმჯდომარე: თქვენი დრო თავდება). ეს კი შესაძლებელი გახდება თუ მიწა მიეყიდება არა ბოგანოებს, არამედ შეძლებულ გლეხობას და აღებულ თანხის ერთი ნაწილიდან შეიქმნება საკოლონიზაციო კაპიტალი, რომლის შემწეობით შესაძლებელი გახდება დასახლება იმ მიწებისა, სადაც ქართული მოსახლეობა ნაკლები არის, ხოლო თავისუფალი მიწა ბევრი, ბორჩალოში ყარაიაზში, ჯავახეთში და სხვაგან. (თავმჯდომარე: თქვენი დრო გათავდა.

## მოძრაობა ახალციხეში

შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე ახალციხიდან მთავრობის რწმუნებულ ლ. რუხაძისაგან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„მაზრაში მომხდარ უკანასკნელ ამბების შესახებ გაცნობებთ შემდეგს: ორი კვირა იქნება, რაც ოსმალეთის მოსყიდულმა აგენტებმა დაიწყეს გაცხარებული მუშაობა მაზრის თითქმის ყველა სოფლებში და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების მოსაწყობათ მიიღეს ყოველგვარი ზომები. შეთქმულთა უმთავრესი ძალები თანდათან თავს იყრიდნენ ფოცხოვში ახალციხის მაზრის საზღვარზე, რომ აქედან გადმოელახათ საზღვრები და ახალციხისკენ წამოსულიყვნენ. შეთქმულთა ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ახალციხის მაზრის ზოგიერთ სოფლების ავანტიურისტებთან, რომელთა საშუალებით ცდილობდნენ ხალხის აჯანყების მოწყობას, მაგრამ უმთავრეს ტონის მიმცემი აღმოჩნდა ცნობილი ომარფაიქ-ნემან-ზადე, რომელიც თბილისში იმყოფებოდა და თავის აგენტების საშუალებით ახალციხის მაზრაში აჯანყებას ამზადებდა. ამ მიზნისთვის მან მიიღო ბაქოდან მიმავალი ოსმალთა ეშელონებისაგან რამოდენიმე ცისტერნა ნავთი, რომელსაც მოჰყიდვის მიზნით უგზავნიდა ახალციხის მაზრაში თავის აგენტებს. იანვრის 14 აწყურში მოვიდნენ ომარ-ფაიქის აგენტები თბილისიდან, რომლებმაც გადასცეს ხალხს, რომ არტაანიდან მოიწევს ოსმალეთის ჯარი და თქვენ ეხლა მზად უნდა იყვეთ საქართველოს მთავრობის დ საზხობათო. აგენტების დაჭერა შეუძლებელი შეიქნა. ერთი მათგანი, მიღებულ ცნობებით, ფოცხოვში წავიდა, მეორე კი კვაბლიანის რაიონის ასაჯანყებლად. 15 იანვარს ზოგიერთ სოფლებში თითო ოროლა პირებმა მოითხოვეს ომარ ფაიქის თბილისიდან დაბრუნება, მხოლოდ 16 იანვარს ფოცხოვის რაიონის საზღვრებიდან მივიღეთ უტყუარი ცნობები, რომ ფოცხოველ ბრბოს მეთაურობს ოსმალოს აფიცერი შუხუტ-ბეი, რომელიც ჩვენ მოსაზღვრე რაზმს ემუქრებოდა. 17 იანვარს შეთქმულობა ფაქტად იქცა და შუხუტ-ბეის ბრბომ გადმოლახა საზღვარი სოფელ ხონასთან, სადაც ტყვედ წაიყვანეს მოსაზღვრე რაზმის ჩვენი 8 ჯარისკაცი. ბრბომ დაიკავა 19 იანვარს შემდეგი სოფლები: ხონა, მარელი, ცკისე, წარბასტუმანი, უდე, ჯაყისხანი, ინჯყილა და ჩარალა, ახალციხიდან გაგზავნილ ჯარს აჯანყებულ სოფლებში ზურგიდან ესროდნენ, მაგრამ, ვინაიდან ავანტიურისტების მოწყობას არ აყვა კვაბლიანის რაიონი, შეთქმულობამ მიზანს ვერ მიაღწია. კვაბლიანის რაიონის წარმომადგენლებმა ულტიმატუმით მიმართა ფოცხოვიდან შემოჭრილ ბრბოს 24 საათში დაეცალათ ახალციხის მაზრის ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში მცხოვრებნი ემუქრებოდნენ იარაღით შებრძოლებას.

რაკი შინაური აჯანყება შეუძლებელი შეიქმნა, ოსმალეთის აგენტების მიერ ჩვენს წინააღმდეგ წამოსულმა ბანდამ 22 იანვარს, საღამოს დასცალა ახალციხის მაზრის ტერიტორია. როგორც სამხედრო ძალები, ისე ადმინისტრაცია, ყოველ ზომებს იღებდენ აჯანყების ჩასაქრობად და უმტკივნეულოდ ჩასატარებლად. ვინაიდან ახალციხის მაზრის მშრომელი გლეხკაცობის უმრავლესობა არ იზიარებდა ამ შეთქმულთა განზრახვებს. დავმყარე რა ახალციხის მაზრის მიწის მუშათა საბჭოს გადაწყვეტილებას, მიიღო მთავრობამ სასტიკი ზომები ავანტიურისტების წინააღმდეგ და ვსცანი რა საჭიროდ შეთქმულობის ძირიანად აღმოსაფხვრელად სასტიკი ზომების მიღება, განკარგულება მოვახდინე დაეპატიმრებიათ ყველა ის პირნი, ვინც საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულობაში მონაწილეობდა და მიზნათ ჰქონდა ოსმალთა გზა-აბნეულ აფიცრების მეთაურობით ისევ ოსმალეთის ბატონობის დაბრუნება. ბევრი შეთქმულთაგანი დღეს დაპატიმრებულია. მხოლოდ დანარჩენთა დასაპატიმრებლათ სასტიკი ზომებია მიღებული. ამ ჟამად მაზრა მშვიდდება, მაგრამ შეთქმულობის ძირიანად ამოსაფხვრელად საჭიროა ფოცხოვის რაიონის გაწმენდა, სადაც დღეს სრული ანარქიაა გამეფებული. მხოლოდ ფოცხოვის რაიონის ჩვენი ჯარის მიერ დაკავებით უზრუნველვყოფთ ახალციხეს ბრბოს შემოსევისაგან, რომელსაც ხელმძღვანელობენ ოსმალთა აფიცრები და მიზნათ აქვთ ოტომანის იმპერიის ბატონობის დაბრუნება ახალციხე ახალქალაქში.

## სახალხო გვარდიის ნაციონალიზაციის შესახებ

117 წლის მონობამ თავის დაღი დაასვა ქართველ ერს, მის ეროვნულ სულის კვეთებას. რუსეთის მთავრობის მუხანათურმა პოლიტიკამ მოსწამლა ქართველი ხალხი და გადაგვარების გზაზე დააყენა.

საქართველოს სახელმწიფო აპარატის მოწყობას და განმტკიცებაში სახელმწიფო ენას დიდი მნიშვნელობა აქვს. დღეს ერის ინტერესები ყოველივე დაწესებულების, სალ ეროვნულ ნიადაგზე მოწყობას და გაქართულებას მოითხოვს. ნაციონალიზაციამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია ფართო არა ქართველ საზოგადოებაში. ნიკოლოზის მონა-მოსამსახურეები (ვინც მუდამ ბატუშკა მეფის დაკარგვას სტირის) დღეს ინტერნაციონალურ ბანაკში იმყოფებიან და ჩვენ შოვინისტებათ გვნათლავენ. მათ ჯერაც ვერ წარმოუდგენიათ პატარა ერის არსებობა, მისი მისწრაფება და საქართველოს გაქართულება საკაცობრიო იდეალის ღალატი ჰგონიათ. ნაციონალიზაციისთვის შეიძლება ჩვენ არ გვყავდეს საჭირო გამოცდილი პირები, მაგრამ ჩვენ საკმაოთ გვყავს ქართველი სტუდენტობა, რომელსაც, თუ გაუძლევებით და გზას უჩვენებთ, მზათაა გაორკეცებული მუშაობით ემსახუროს სამშობლოს, რაც შექმნის მთელ რიგ მოსამსახურეებისა, რომელნიც პრაქტიკულათაც მოემზადებიან მომავლისთვის. დამერწმუნეთ, რომ გამოცდილ რუსის მოხელეზე უფრო, რომელსაც არ სწამს საქართველოს დამოუკიდებლობა და დიდ რუსეთის აღსდგენას ელის, გამოსადეგი იქნება სამშობლოს სამსახურის სურვილით აღჭურვილი ქართველი ღარიბი სტუდენტობა.

საკვირველია, რისთვის აგვიანებს ზოგი დაწესებულობა გაეროვნებას, რისთვის უნდა გადაიდვას შემდეგისთვის ის, რის გაკეთება შეიძლება დღეს?

აქეთია სხვათა შორის სახალხო გვარდია.

გვარდიის მნიშვნელობა, მისი აუცილებლობაც ჯერჯერობით ყველასთვის ცხადია. საქართველოს არსებობისთვის გვარდიას დიდი ღვაწლი მიუძღვის; ის მუდამ მფარველია ჩვენი ნორჩ რესპუბლიკისა და იქ გაჩნდება, სადაც მოელის ერს რამე საფრთხე. აი თუგინდ სომხებთან ომი ავიღოთ. ჩვენ ხელთა გვაქვს სტატისტიკური ცნობები, რომ ამ ომში გვარდიის მსხვერპლი პროპორციულად ძალიან დიდია. ეს გვარდიის მამულიშვილობას მოწმობს. საკვირველია, რომ გვარდიის ნაციონალიზაციისთვის ჯერ არაფერი გაკეთებულა. არ ვიცი მთავარი შტაბი პრინციპიალურად არის წინააღმდეგი გაქართულებისა თუ ტეხნიკური დაბრკოლებების გამო ვერ ატარებს მას. ჩვენი დაკვირვებით მთავარი შტაბის ნაციონალიზაცია უფრო უმტკივნელად ჩაივლის ვიდრე რომელიმე სამინისტროს; განსაკუთრებით ადვილია საექიმო სასანიტარო განყოფილების გაქართულება რადგან ამ დარგის ქართველ მოსამსახურეთა რიცხვი საკმაოა, რომ სრული ნაციონალიზაცია მოხდეს. ამას მოითხოვს უაღრესი დემოკრატიზმი და სამართლიანობის გრძნობაც. რაცყოთ, რომ ერთი და ორი არა ქართულის მცოდნე უადგილოთ დარჩება.

კარგია კაცთმოყვარეობა, მაგრამ კიდევ უფრო მაღლა ერი და ეროვნული ინტერესები სდგას.

**გ. ჩუნეშელი**

## საქართველოს

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სია თბილისის საქალაქო არჩევნებისათვის.**

1. ნიკოლაძე ნიკო იაკობის ძე, პარლამენტის წევრი.
2. კედია სპირდონ მალხაზის ძე, პარლამენტის წევრი.
3. გვაზავა გიორგი ბექანის ძე, პარლამენტის წევრი.
4. აფხაზი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, პარლამენტის წევრი. (უპარტიო).
5. ახმეტელი ალექსანდრე ვასილის ძე. პარლამენტის წევრი. (რადიკალ დემოკრატი).
6. გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე, ქალაქის ხმოსანი. (ბანკის დირექტორი).
7. წვერავა ნიკოლოზ ესტატეს ძე, ქალაქის ხმოსანი.
8. ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე, მრეწველი.

9) ბერელაშვილი ვასილ გერასიმეს ძე, ქალაქის ხმოსანი.

10. ჯაბადარი ალექსანდრე გიორგის ძე, ვაჭართ. მრეწვ. კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. (უპარტიო).

11) ბერელაშვილი ადამ ზურაბის ძე, აგრანომი, კომერსანტი. (რადიკალ დემოკ.).

12. გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს ძე, ნაფიცი ვექილი. (უპარტიო).
13. მეძმარიაშვილი კალისტრატე გიორგის ძე, კომერსანტი.
14. თელაკვაძე ნიკიტა დეკანოზი, საკათალიკოზო საბჭოს წევრი.
15. სულუხია მოსე ივლიანის ძე, ბანკის დირექტორი.
16. ძიძიშვილი ნოე სვიმონის ძე, ნაფიცი ვექილი.
17. გორდეზიანი გიორგი პავლეს ძე, ნაფიცი ვექილი.
18. კალანდაძე დავით იაგორის ძე, პროვიზორი.
19. ჟორდანია გიორგი თედორეს ძე, ნაფიცი ვექილი.
20. ვაჩნაძე ლევან ალექსანდრეს ძე, ყოფილი ხმოსანი.
21. დუმბაძე დიმიტრი მოსეს ძე, ჟურნალისტი.
22. სიხარულიძე ნოე გლახუნის ძე, კომერსანტი.
23. მამრაძე პეტრე გრიგორის ძე, ინჟენერი.
24. კრაუზე ოსვალდ კარლოს ძე, ინჟინერი. (უპარტიო).
25. დედაბრიშვილი (არაგვისპირელი შიო ზაქარიას ძე), მწერალი. (რადიკალ დემ.).
26. ღამბაშიძე ვახტანგ დავითის ძე. ექიმი. (უპარტიო).
27. ზედგინიძე ივანე ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი. (უპარტიო).
28. ყიფიანისს ნინო ბექანის ასული, მწერალი.
29. გველესიანი იოსებ იოსების ძე, კომერსანტი.
30. მაჭავარიანი გიორგი ლუარსაბის ძე, ნოტარიუსი.
31. კვირკველია დავით ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი.
32. ჯანელიძე გრიგოლ არხიპოს ძე, პროვიზორი.
33. მელიქიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე, ექიმი (უპარტიო).
34. დიასამიძე ლევან ნიკოლოზის ძე. ინჟენერი.
35. ყავრიშვილისა ანნა ანტონის ასული.
36. ჯავახიშვილი იასონ (იურისტი).
37. ნასიძე ივანე აბრამის ძე, იურისტი.
38. ფორაქიშვილი სვიმონ ილარიონის ძე, კომერსანტი (რ.-დ.).

39 ჟღენტი პლატონ, კომერსანტი.

40. ტაზიშვილი ირაკლი გრიგორის ძე, კოოპერატორი.
41. კავჟარაძე ივანე სერაფიონის ძე, მასწავლებელი (უპარტიო).
42. კეზერელი-კოპაძე ივანე ნიკოლოზის ძე, კომერსანტი.
43. კახიძე ტიტე ბენედიქტეს ძე, პედაგოგი.
44. ლორთქიფანიძე, ალექსანდრე სვიმონის ძე, კომერსანტი (რ.-დ.).
45. ღვთისაფრიშვილი სვიმონ, ბუღალტერი (უპარტიო).
46. ზურაბიშვილი ვასილ გიორგის ძე, კომერსანტი. (რად. დემ.)
47. გაბუნია სილოვან, ნაფიცი ვექილი.
48. ჰინჭარაძე ნიკოლოზ, კომერსანტი.
49. ალხაზიშვილი ილია სოლომონის ძე, პროვიზორი. (მწერალი).
50. ახვლედიანი ვარლამ სოლომონის ძე, აფთიაქის პატრონი.
51. ჯაიანი ბესარიონ, ბუღალტერი.
52. ჭყონია სერგი ... ძე, კომერსანტი.
53. გელოვანი სამსონ ჯანსუყის ძე, ნაფიცი ვექილი. (უპარტიო).
54. ჭრელაშვილი ნიკოლოზ იოსების ძე, კომერსანტი.
55. კანდელაკი გრიგორ ზახარის ძე, იურისტი.
56. აფხაზი ივანე დიმიტრის ძე, იურისტი. (უპარტიო).
57. ჩიჩინაძე გიორგი ზურაბის ძე, საოლქო სასამართლოს წევრი. (უპარტიო).
58. ყიფშიძე ივანე ანდრიას ძე, ინჟენერი. (უპარტიო).
59. ყიფიანი ვასილი გიორგის ძე, კომერსანტი.
60. ხერხეულიძე მიხეილ ზურაბის ძე, ჟურნალისტი.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

ექიმი
ნიკ. ი. მაჩაბელი
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
ზემელის აფთიაქის მახლობლად.
თ.—25—2305

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო
ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიების ორივე სქესისთვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიებში თავიანთი შვილები მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები:
1. სქესი მოსწავლისა,
2. რაოდენობა და
3. რომელ კლასში სურს შესვლა.
სწავლის ფული იქნება არა უმეტეს იმისა, რაიც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში. მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეიტანეს მეორე ნახევარი სწავლის ფულისა, ეს ფული დაუბრუნდებათ.
ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო. 5—2

განცხადება.
ფოთის ქალაქის გამგეობასთან არსებული განსაკუთრებული კომისია
თანახმად ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრის განკარგულებისა, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ 1919 წლის 1 მარტიდან ფოთის ნავთსადგურში დაიწყება ვაჭრობა, რომლითაც გაიყიდება ფოთის ნავთსადგურის სხვა და სხვა საწყობებში შენახული სახაზინო ქონება, სახელდობრ: ლურსმანი, საჩვენებელი საათები, რკინისა და კანაფის თოკები, მილები, ბრეზენტები, ელექტრონის შუშები, სხვა და სხვა საქონელი, სპილენძის და რკინისა და სხვა და სხვა მოწყობილება. ვაჭრობა იწარმოებს თითოეულ საქონელზე ცალკე ანუ პარტიებით, ვაჭრობა გაგრძელდება რამოდენიმე დღეს. ვაჭრობის მსურველმა ვაჭრობის დაწყებამდი უნდა წარმოადგინოს საწინდარი ნაღდ ფულად ერთი მესამედი იმ თანხისა, რამდენათაც დაფასებულია საქონელი და დანარჩენი ფული უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის დამტკიცებისთანავე. ვაჭრობის შედეგი უნდა განიხილოს კომისიამ და მისგან დამტკიცების შემდეგ მყიდველს ჩაბარდება საყიდი საქონელი; წინააღმდეგ შემთხვევაში დაუბრუნდება წარმოდგენილი საწინდარი.
3—104—1 განსაკუთრებული კომისია

ბორჯომის მიწის ეროვნულ ქარხანამ
განაახლა მუშაობა
და იღებს დაკვეთას შემდეგი შუშებისას:
შუშები: კონიაკისა, ჩარექიანი, ბორდოსი და სხვა. შუშები: სამჩარექიანი, მურაბის ბანკები, აფთიაქის წამლების, გლიცერინის „ველიურ“, ფეხსაცმლის საწმენდი კრემი და სხვა შუშები.
დაკვეთისათვის უნდა მიმართონ ბორჯომში ბორჯომის ეროვნული მამულების გამგეობას.
ბორჯომის ეროვნული ქონების გამგე ინჟენერი ხუნდაძე.
2—2049—1

მიიღება ხელის მოწერა 1919 წ.
ერთადერთ სახელოვნო-სალიტერატურო-სათეატრო სურათებიან ჟურნალ
თეატრი და ცხოვრება-ზე
წლიწადი მეშვიდე გამოცემისა
წლიურად—25 მან., ნახევარ წლით—15 მან. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: თბილისი, ბაზრის ქ. № 20, მეწაღეების რიგზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ დილის 9 ს.—საღამოს 7 ს. ფოსტით: თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. იქვე მიიღება შემოწირულება ჟურნალის ფონდის სასარგებლოდ.
რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.
5—101—3

ფინანსთა სამინისტროსაგან
ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არა ჩვეულებრივ ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, რესპუბლიკის მთავრობა ჰსცემს 50.000,000 მანეთის 5 პროცენტიან მოკლე ვადიან სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათ ერთი წლის ვადით (ესე იგი 1 იანვრამდე 1920 წ.).
ვალდებულება უსახელოა და დაყოფილია შემდეგ კუპიურებად: 5,000, 1,000, 500, 100 და 25 მან.
თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულებანი 5,000 მან. და 1,000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობით ვალდებულებათ რაიცა უნდა ჩაიწეროს თბილისის ხაზინის დავთრებში.
აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.
ვალდებულება მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალის დასაფარავად და აგრეთვე საწინდრათაც.
ვალდებულების შეძენა შეიძლება
მხოლოდ ნაღდ ფულად
ვალდებულებათა შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო ბანკში, რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში დასაკრედიტო კოოპერატივებში.
10—94—10

სტამბა ა. კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 1.